საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 115 (394) პარასკევი, 26 ივნისი, 1992 წელი ფასი 2 მანეთი

წუხელ შეიტყვეთ

ცეცხლი უნდა შეწყდეს, მაგრამ...

ბორი, 25 ივნისი. საქინფორმის კორესპონდენტები **რობერტ ცუცქირიძე** და **თემო ნაფიშვილი** იტყობინებიან:

მიღწეული მოლაპარაკების შედეგად 25 ივნისის 12 საათიდან 28 ივნისის 12 საათამდე ცხინვალის რეგიონში უნდა შეწყდეს ყოველგვარი სროლა.

25 ივნისს გარიჟრაჟზე ოსმა „ბოევიკებმა" საარტილერიო ცეცხლის რკალში მოაქციეს სოფელი ვანათი, რის შედეგადაც დაიღუპა დიდგორის ბატალიონის გვარდიელი, 19 წლის თბილისელი ჭაბუკი ბესო გოცირიძე.

— საქართველოსა და რუსეთის ხელმძღვანელთა მოლაპარაკება შიდა ქართლში გაჩაღებული ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტის თაობაზე არ უნდა ჩაიშალოს, — გვითხრა ეროვნული გვარდიის მეღვრეკისის შტაბის უფროსმა პოლკოვნიკმა ბორის გრიგოლაშვილმა, — ყველაფერს ვიღონებთ მოლაპარაკების შედეგების განხორციელებისათვის. გვარდიის ნაწილები მკაცრად არიან გაფრთხილებული, არ წამოეგონ პროვოკაციას და არ გახსნან ცეცხლი. საჭიროა ოსეთის მხარემაც დაიცვას შეთანხმების პირობა.

სამწუხაროდ, ასე არ არის. დღეს 25 ივნისს, დაახლოებით 18 საათისათვის ცხინვალის მხრიდან „ალაზნის" ტიპის სამი რაკეტა ისროლეს ჩვენი სანგრებისკენ. ოსებმა კვლავ დაარღვიეს შეთანხმება.

მძევლებში ფულს ითხოვენ

როგორც ვიუწყებოდით, 24 ივნისს საჩხერის რაიონის სოფელ პერევს თავს დაესხა ჯავის რაიონის ტერიტორიიდან გადმოსული ოსი „ბოევიკების" 20-კაციანი ჯგუფი. მათ გაიტაცეს სოფლის 18 მცხოვრები, მათ შორის ბავშვები, და 150 სული პირუტყვი.

საჩხერის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსის მოადგილემ გ. ფარქოსაძემ შეგვატყობინა, რომ გამტაცებლებმა გამოუშვეს მძევალთა ნაწილი, 5 ადამიანი კი დაიტოვეს ფულის გამოძალვის მიზნით.

გამოძიება დაიწყო

გუშინ პრესკონფერენცია გამართეს საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ვახტანგ რაზმაძემ, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა რომან გვენცაძემ და ინფორმაციისა და დაზვერვის ბიუროს ხელმძღვანელმა ირაკლი ბათიაშვილმა. ჟურნალისტებს გააცნეს ექსპრეზიდენტის მომხრეთა ბანდიტური გამოხდომის გარემოებები.

ბატონმა ვახტანგ რაზმაძემ დამსწრეთ მოახსენა, რომ უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და დაიწყო გამოძიება. ამოღებული ნივთიერი მტკიცებულება, ისევე როგორც გამოძიებაში მყოფ პირთა ჩვენებები, მოწმობს იმას, რომ აქციას თავიდან ბოლომდე ხელმძღვანელობდა გროზნოდან ყოფილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომლის ბრძანებულება საქართველოში მის წარმომადგენლად ვალტერ შურღაიას დანიშვნის შესახებ უპოვეს ბანდიტური ჯგუფის წევრებს.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ედუარდ შევარდნაძემ და ბორის ელცინმა განაცხადეს, რომ საქართველომ და რუსეთმა უნდა იცხოვრონ და კიდევ იცხოვრებენ როგორც კეთილი მეზობლები და პატიოსანი პარტნიორები, სცნობენ ერთმანეთის პრიორიტეტს, დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას და საზღვრების ურღვევობას.

კომუნიკე

ე. ა. შევარდნაძისა და ბ. ნ. ელცინის შეხვედრის შედეგების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ და რუსეთის პრეზიდენტმა სამუშაო შეხვედრა მოაწყვეს დაგომისში საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მთელი კომპლექსის განხილვისათვის, და სათანადო ყურადღება მიაპყრეს იმ მომენტებს, რომლებსაც შეეძლოთ გამოეწვიათ გართულება საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის.

ე. ა. შევარდნაძემ და ბ. ნ. ელცინმა განაცხადეს, რომ საქართველომ და რუსეთმა უნდა იცხოვრონ და კიდევ იცხოვრებენ როგორც კეთილი მეზობლები და პატიოსანი პარტნიორები, სცნობენ ერთმანეთის სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას და საზღვრების ურღვევობას. მათ არა აქვთ ერთმანეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები და კისრულობენ საჯარო ვალდებულებებს ნებისმიერი წამოჭრილი დავა გადაჭრან და მოაწესრიგონ მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით, პოლიტიკური მოლაპარაკებების გზით, და არ გამოიყენონ ძალა ან ძალით მუქარა.

საქართველოს რესპუბლიკა და რუსეთის ფედერაცია, რომლებსაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, რაც შეიძლება სწრაფად იმოქმედონ ამ განზრახვების შესაბამისად, 1992 წლის 1 ივლისიდან ურთიერთშორის ამყარებენ დიპლომატიურ ურთიერთობას საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების დონეზე.

რუსეთის ფედერაცია მიესალმება საქართველოს სურვილს გახდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი და როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი ყოველნაირად შეუწყობს ხელს ამ უნივერსალურ საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს შესვლას.

საქართველომ და რუსეთმა დათქვეს, რომ მჭიდროდ ურთიერთიმოქმედებენ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციასა და ინსტიტუტში, რომელთა წევრებიც არიან ან შეიძლება გახდნენ.

ორი სახელმწიფოს ხელმძღვანელები სერიოზულად არიან შეშფოთებული საქართველო-ოსეთის გაჭიანურებული კონფლიქტის გამო და მხარს უჭერენ მის უსწრაფესად შეწყვეტას და მოწესრიგებას.

ე. ა. შევარდნაძემ და ბ. ნ. ელცინმა ივალდებულეს იმოქმედონ შეთანხმებულად საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დარგში საერთაშორისო პაქტების სრული შესაბამისობით. საქართველოსა და რუსეთის სამართალდამცველი ორგანოები გადაჭრით აღკვეთენ მათს იურისდიქციას დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე უკანონო სამხედრო, ნახევრად სამხედრო და თვითნებურად შექმნილი რაზმებისა და ჯგუფების საქმიანობას.

შეიქმნება სპეციალური შერეული ჯგუფები სასწრაფო კონსულტაციების, ფაქტების შემოწმების, ერთობლივი ინფორმირებისა და მთავრობათათვის საერთო რეკომენდაციების მომზადების მიზნით.

საქართველოს რესპუბლიკამ გამოთქვა აზრი, რომ უნდა დაჩქარდეს ორი ქვეყნის „დიდი ხელშეკრულების" პროექტის შემუშავება.

საქართველოს რესპუბლიკა და რუსეთის ფედერაცია უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებენ იმ შეთანხმებათა უსწრაფეს დადებას, რომლებიც მოაწესრიგებენ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების ყოფნის ვადებს, სტატუსს და პირობებს. რუსეთის ჯარების გაყვანამდე მათ კეთილმოსურნედ მოეკიდებიან საქართველოს მთავრობა და ხალხი.

კეთილი ნების ნიშნად პრეზიდენტმა ბ. ნ. ელცინმა მიიღო გადაწყვეტილება შეწყდეს რუსეთის ტერიტორიიდან ეკონომიკური ბლოკადის ყოველგვარი ღონისძიება.

ე. ა. შევარდნაძემ კვლავ სთხოვა რუსეთის პრეზიდენტს ეწვიოს საქართველოს მისთვის ხელსაყრელ დროს. ეს მოწვევა რუსეთის პრეზიდენტმა მადლობით მიიღო.

ორი ქვეყნის ხელმძღვანელებმა დათქვეს მოაწყონ ერთმანეთთან არაფორმალური შეხვედრები, როცა ამას მოითხოვს ვითარება.

შეთანხმება

საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ

რუსეთის ფედერაცია და საქართველოს რესპუბლიკა, რომლებიც ისწრაფვიან, რაც შეიძლება მალე შეწყდეს სისხლისღვრა და ყოველმხრივ მოწესრიგდეს კონფლიქტი ოსებსა და ქართველებს შორის,

ხელმძღვანელობენ რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის აღდგენის სურვილით,

ადასტურებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ჰელსინკის საბოლოო აქტის პრინციპების ერთგულებას,

მოქმედებენ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე ეროვნულ უმცირესობათა უფლებების პატივისცემის სულისკვეთებით,

მხედველობაში იღებენ მიმდინარე წლის 10 ივნისს ყაზბეგში მიღწეულ მორიგებებს,

შეთანხმდნენ:

მუხლი 1.

1. შეთანხმების დადების მომენტიდან დაპირისპირებული მხარეები მოვალეობას კისრულობენ განახორციელონ ყველა ღონისძიება 1992 წლის 28 ივნისისათვის შეიარაღებული შეტაკებების შეწყვეტისა და ცეცხლის სრული შეწყვეტისათვის.

2. 1992 წლის 28 ივნისს ცეცხლის შეწყვეტის მომენტიდან დაპირისპირებულ მხარეებს გაჰყავთ თავიანთი შეიარაღებული ფორმირებები შეხების ხაზის მიმდებარე დერეფნის შექმნის მიზნით.

3. ფორმირებათა გაყვანა ხორციელდება სამი დღე-ღამის განმავლობაში. შეხების ხაზის გაყოლას, დერეფანს, მის განედებს განსაზღვრავენ მეთვალყურეთა ერთობლივი ჯგუფები.

მუხლი 2.

კონფლიქტის რაიონში დემილიტარიზაციისა და კონფლიქტში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ჩაბმის შესაძლებლობის გამორიცხვის მიზნით რუსეთის მხარეს ცეცხლის შეწყვეტისა და დაპირისპირებულ მხარეთა განცალკევების მომენტიდან 20 დღის განმავლობაში გაჰყავს ცხინვალის რაიონში დისლოცირებული 87-ე ინჟინერ-მესანგრეთა პოლკი და 292-ე ცალკე საბრძოლო ვერტმფრენავთა პოლკი უზრუნველყოფისა და მომსახურების ქვეგანაყოფებითურთ.

მუხლი 3.

1. ცეცხლის შეწყვეტის, შეიარაღებული ფორმირებების გაყვანის, თავდაცვის ძალების დაშლისა და უშიშროების რეჟიმის უზრუნველყოფისადმი კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით აღნიშნულ ზონაში იქმნება შერეული საკონტროლო კომისია კონფლიქტში ჩაბმული მხარეების შემადგენლობით, რომელიც განახორციელებს თავის ფუნქციებს ყაზბეგის მორიგებათა შესაბამისად შექმნილ სამხედრო მეთვალყურეთა ჯგუფთან ურთიერთმოქმედებით.

2. კომისიის მუშაობის მონაწილე მხარეთაგან თითოეული მის შემადგენლობაში ნიშნავს თავის წარმომადგენლებს. საკონტროლო კომისიის ადგილსამყოფელი იქნება ქალაქი ცხინვალი.

3. აღნიშნულ ამოცანათა შესრულებისათვის საკონტროლო კომისიასთან მხარეთა შეთანხმებით იქმნება შერეული ძალები მშვიდობის დამყარებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნით. კომისიასთან აგრეთვე შეიქმნება მეთვალყურეთა შერეული ჯგუფები, რომლებიც განლაგდებიან უშიშროების ზონის პერიმეტრზე.

4. საკონტროლო კომისია და მასთან შექმნილი ძალები დაუყოვნებლივ შეუდგებიან ამ შეთანხმებით მათზე დაკისრებული ამოცანების შესრულებას.

5. ამ შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში საკონტროლო კომისია გამოიძიებს მის გარემოებებს და განახორციელებს სასწრაფო ღონისძიებებს მშვიდობისა და მართლწესრიგის აღდგენის, აგრეთვე იმისათვის, რომ აღარ დაუშვან ასეთი დარღვევები.

6. საკონტროლო კომისიის და მასთან შექმნილი ძალების საქმიანობას აფინანსებენ მხარეები თანაბარ წილობრივ საფუძველზე.

მუხლი 4.

მხარეები დაუყოვნებლივ შეუდგებიან მოლაპარაკებას კონფლიქტის ზონაში არსებული რაიონების ეკონომიკური აღორძინებისა და ლტოლვილების დაბრუნებისათვის პირობების შექმნის შესახებ.

მხარეებს დაუშვებლად მიაჩნიათ ეკონომიკური სანქციებისა და ბლოკადების გამოყენება, ნებისმიერი სხვა დაბრკოლების შექმნა საქონლის, მომსახურებისა და ადამიანების მოძრაობის თავისუფალ გზაზე და ვალდებულებას კისრულობენ უზრუნველყონ მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის პირობები.

მუხლი 5.

მხარეები შეეცდებიან ობიექტურად და აწონ-დაწონილად გააშუქონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მოწესრიგების პროცესი. ამ მიზნით საკონტროლო კომისიასთან იქმნება სპეციალური მრავალმხრივი პრესცენტრი.

მუხლი 6.

ეს შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან. დაიდო სოჭში 1992 წლის 24 ივნისს სამ ცალად ქართულ, რუსულ და ოსურ ენებზე, ამასთან, ყველა ტექსტს ერთნაირი ძალა აქვს.

რუსეთის
ფედერაციის
სახელით
ბ. ნ. ელცინი.

საქართველოს
რესპუბლიკის
სახელით
ე. ა. შევარდნაძე.

ხელს შეუწყობენ სესხებისა და კრედიტების მიღებას

შეხვედრა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებთან

24 ივნისს საქართველოს პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა ოთარ ქვილითაიამ მიიღო ჩვენს რესპუბლიკაში მყოფი საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტები.

საუბრის დროს, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს მთელ რიგ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, სტუმრებმა გამოთქვეს რეკომენდაციები წარმოების ნორმალური რიტმის აღდგენის, ბაზარზე გადასვლის გამო, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელმა დონალ დონოვანმა შეაჯამა ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროებში, ეროვნულ ბანკში საზღვარგარეთელ ექსპერტთა ორკვირიანი თანამშრომლობის შედეგები და განაცხადა, რომ აპირებენ ხელი შეუწყონ საქართველოსათვის საჭირო სესხისა და კრედიტების მიცემას ეკონომიკის გაჯანსაღების სამთავრობო პროგრამის რეალიზაციისათვის.

ოთარ ქვილითაიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული მუშაობისათვის და აღნიშნა, რომ თავის საქმიანობაში მთავრობა ხელმძღვანელობს რეალური საქმის ვითარებით, ითვალისწინებს მოსახლეობის სოციალური დაცვის საჭიროებას.

რესპუბლიკის სამთავრობო პროგრამები, რომელთა შედგენაშიც მონაწილეობდნენ უმაღლესი კვალიფიკაციისა და დიდი გამოცდილების მქონე საერთაშორისო ექსპერტები, საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის რეალური საფუძველი გახდება.

თენგიზ სიგუა: ეს იყო სახელმწიფო გადატრიალების ცდა

საქართველოს მთავრობის რიგგარეშე სხდომიდან

25 ივნისს გაიმართა საქართველოს მთავრობის პრეზიდიუმის რიგგარეშე სხდომა, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკის დედაქალაქში წინა დღით მომხდარი შეიარაღებული ამბოხების გარემოებათა განხილვას. მინისტრთა კაბინეტის წევრებმა, რომლებმაც ეს ექსტრემისტული გამოხდომა დაახასიათეს როგორც სახელმწიფო გადატრიალების ცდა შეიარაღებული ძალის გამოყენებით, არა მარტო მთელი პრინციპულობითა და მომთხოვნელობით გააანალიზეს მომხდარი ფაქტი, არამედ დასახეს კიდეც კონკრეტული ღონისძიებანი მომავლისათვის ასეთი აქციების თავიდან ასაცილებლად.

როგორც სხდომის გახსნისას თქვა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა თენგიზ სიგუამ, ის, რაც მოხდა, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ მოითხოვს ღრმა და ყოველმხრივ ანალიზს, მაგრამ ამას წინასწარი შეფასება უნდა მიეცეს უკვე ახლა და ეს აუცილებელიც კი არის. ჩვენ პირდაპირ და გულახდილად უნდა ვაღიაროთ, აღნიშნა მან, რომ ყოველივე ამისათვის თავისი წილი ბრალი და პასუხისმგებლობა უნდა იკისრონ მთავრობამ, სამართალდამცველმა ორგანოებმა, დესტრუქციული, ანტიდემოკრატიული ძალების მიმართ ძალზე ლოიალური პოზიციისათვის, იმისათვის, რომ ვერ შევძელით თავიდან აგვეცილებინა ტოტალიტარული რეჟიმის მომხრეთა ასეთი თავხედური შეიარაღებული გამოსვლა, რომელიც, სხვათა შორის, იმავე დღეს მოხდა არა მარტო თბილისში, არამედ დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებშიც. განსაკუთრებული პრეტენზიები გამოითქვა ამ ცოტა ხნის წინათ შექმნილი სპეციალური სამსახურის — საინფორმაციო-სადაზვერვო ბიუროს მიმართ, რომელმაც ვერ შეძლო დროულად დაეპროგნოზებინა ეს აქცია, თუმცა, როგორც გამოირკვა, იგი არა ერთი და ორი დღის განმავლობაში იგეგმებოდა და მზადდებოდა.

ამავე დროს, თენგიზ სიგუამ დიდი შეფასება მისცა მილიციის მუშაკების, ეროვნული გვარდიისა და „მხედრიონის" მებრძოლების, აგრეთვე მათ დასახმარებლად მოსული თბილისელი მოხალისეების რაზმის ოპერატიულ და გამართულ მოქმედებას, რამაც საშუალება მოგვცა უკიდურესად მოკლე ვადაში და მინიმალური დანაკარგებით გაგვეხორციელებინა ბანდიტების მიერ დაკავებული ტელეანძისა და ტელერადიოდეპარტამენტის შენობის გათავისუფლების ოპერაცია. სხვათა შორის, დედაქალაქის დახმარებისათვის მზადყოფნა გამოთქვა აგრეთვე თბილისის მიმდებარე პრაქტიკულად ყველა რაიონისა და რესპუბლიკის მთელი რიგი სხვა რაიონების მოსახლეობამ, მაგრამ, რადგან ამის საჭიროებას ვერ ვხედავდით, გადავწყვიტეთ უარი გვეთქვა ამ დახმარებაზე.

ამ ოპერაციის განხორციელება, მისი შედეგები სხდომას მოახსენეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა რომან გვენცაძემ, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სარდალმა გელა ლანჩავამ, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ვახტანგ რაზმაძემ. კერძოდ, დაზუსტდა, რომ ტელეანძისა და ტელერადიოდეპარტამენტის შენობის შტურმის შედეგად მოკლულია 5 და დაჭრილია დაახლოებით 30 კაცი. დაპატიმრებულია 65 კაცი, რომელთა შორის არიან ამ დანაშაულებრივი აქციის აქტიური ორგანიზატორები, საქართველოს უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატები ვალტერ შურღაია, ბიძინა დანგაძე და ბიძინა ჩოლოყაშვილი. საქმეს იძიებს საქართველოს პროკურატურის სპეციალური ბრიგადა. როგორც ირკვევა, დაკავებულთა უმრავლესობა თბილისის მცხოვრებია. სავსებით ცხადია უკვე ისიც, რომ შეიარაღებულ ბანდიტთა მოქმედებას გროზნოდან მართავდა და კოორდინაციას უწევდა ყოფილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომელმაც იქ თავშესაფარი ჰპოვა, რასაც ნათლად მოწმობს მის მიერ ხელმოწერილი ბრძანებები და განკარგულებები. აღსანიშნავია, რომ სწორედ 24 ივნისს ყოფილი პრეზიდენტის მომხრეებმა განახორციელეს შეიარაღებული თავდასხმები მილიციის ადგილობრივ განყოფილებებსა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებზე აბაშაში, მარტვილში, ხობში, სენაკში, აწყობდნენ მიტინგებს და დათარეშობდნენ რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა ქალაქებსა და რაიონებში. ეჭვს არ იწვევს ისიც, რომ მთელი ეს ბანდიტური აქცია, რომელიც, როგორც ახლა გაირკვა, დაგეგმილი იყო ივლისის დამდეგისათვის, სპეციალურად გადმოიტანეს და დაამთხვიეს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარისა და რუსეთის პრეზიდენტის დაგომისში იმ დღისათვის დანიშნულ შეხვედრას მისი ჩაშლის მიზნით.

სხდომაზე გამოსულმა მინისტრებმა, მთავრობის მთავარმა მრჩევლებმა, რომლებმაც ყოველივე მომხდარი ერთგვაროვნად შეაფასეს როგორც სახელმწიფო გადატრიალების ცდა, გააანალიზეს მათ დაქვემდებარებულ უწყებებსა და მთლიანად რესპუბლიკაში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია, გამოთქვეს კონკრეტული წინადადებები დესტრუქციულ ძალებთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც ცდილობენ რესპუბლიკა ჩაითრიონ ანარქიასა და ქაოსში, გადაახვევინონ მას დემოკრატიულ გარდაქმნათა გზიდან. აღინიშნა, რომ 24 ივნისის მოვლენები უნდა გახდეს გაკვეთილი ყველასათვის, გარდამტეხი ეტაპი იმათ შეგნებაში, ვისთვისაც ძვირად ფასობს ჭეშმარიტი თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეალები, საქართველოს ხვალინდელი დღე.

პრემიერ-მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა, ეროვნებათაშორისი ურთიერთობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ სანდრო კავსაძემ გააკეთა ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის 24 ივნისს დაგომისში გამართული შეხვედრის შედეგების შესახებ.

ედუარდ ედიბერიძე,

ნომერში

- როცა გიგანტები ისოცებიან, ლიფსიტები ლაღად დაცურავენ. 2
- რუსეთი კიდევ რაღაცას გამოგვიგონებს. 3

სტამბოლში გაიხსნა უმაღლესი დონის შეხვედრა

სტამბოლი, 25 ივნისი. გადავაქციოთ შავი ზღვის აუზი მეზობელი ქვეყნების თანამოქმედების დიდ საერთაშორისო ცენტრად — ასეთ მიზანს ისახავს დღეს აქ გახსნილი ამ რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობისადმი მიძღვნილი უმაღლესი დონის ერთდღიანი შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობენ რუსეთის, თურქეთის, ბულგარეთის, საბერძნეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის, მოლდოვის, საქართველოს, რუმინეთისა და ალბანეთის უმაღლესი ხელმძღვანელები და დელეგაციები. ფორუმზე არ არიან იუგოსლავიის რესპუბლიკების წარმომადგენლები, სადაც ახლა სამოქალაქო ომი მძვინვარებს.

სტამბოლის შეხვედრის იდეა ეკუთვნის თურქეთს, რომელმაც ორი წლის წინათ წამოაყენა შავი ზღვის აუზის ქვეყნების ფართო მასშტაბის ეკონომიკური თანამშრომლობის ეს პროექტი. ადგილობრივი მიმომხილველები მას უწოდებენ შავი ზღვის ქვეყნების თავისებური „საერთო ბაზრის" შექმნის წინამძღვარს.

მაგრამ შეხვედრის წინა დღეს, როგორც აქ იუწყებიან, წარმოიქმნა უთანხმოებანი თურქეთის პრეზიდენტს თურლუთ ოზალსა და პრემიერ-მინისტრს სულეიმან დემირელის შორის საშინაო პოლიტიკის პრობლემებზე. პრეზიდენტმა უარი თქვა შეხვედრაში მონაწილეობაზე და თავის საზაფხულო რეზიდენციაში გაემგზავრა. აქ შიშობენ, რომ მოვლენათა ასეთმა შემობრუნებამ შეიძლება ნეგატიური გავლენა მოახდინოს ფორუმზე.

წინა დღეს გვიან საღამოს სტამბოლში ჩამოვიდა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე.

25 ივნისს უკრაინის პრეზიდენტი **ლეონიდ კრავჩუკი** შეხვდა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს **ედუარდ შევარდნაძეს**. გულთბილი, მეგობრული საუბრის დროს მიღწეულია მორიგება იმის თაობაზე, რომ უახლოეს მომავალში მომზადონ და თბილისში ხელი მოაწერონ სამთავრობათაშორისო ეკონომიკურ შეთანხმებას.

მიღებულია აგრეთვე გადაწყვეტილება დიდმასშტაბიანი პოლიტიკური ხელშეკრულების მომზადების შესახებ. როგორც ჩანს, მას ხელს მოაწერენ შემოდგომაზე.

ლაპარაკია ხელშეკრულებაზე, რომელსაც ხელი უნდა მოაწერონ საქართველოში უკრაინის პრეზიდენტ ლეონიდ კრავჩუკის სტუმრობის დროს. იგი ჩვენს ქვეყანაში ედუარდ შევარდნაძემ მოიწვია სახელმწიფო საბჭოს სახელით.

საუბარში მონაწილეობდნენ უკრაინის რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრები ა. ზნემკო და ა. ჩიკვაიძე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის სიტყვამ დიდი ინტერესი გამოიწვია და ფართოდ განიხილავენ. აღნიშნავენ, რომ მის სიტყვას ახასიათებდა დიდი კონკრეტულობა, რეგიონის პრობლემების ღრმა გაგება და ფაქტიურად ეს იყო იმის ცდა, რომ წარმოდგენილი იქნეს ახალი მოქმედების გეგმა, მასში მოცემული შესაქმნელი ორგანიზაციის ევოლუციის სქემა ქმედითუნარიანია, ინტეგრირებულია და შეუძლია პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ-სამართლებრივ წარმონაქმნებში განამტკიცოს ურთიერთნდობა. ეს მოსაზრება ემთხვევა მონაწილეთა მოსაზრებებს, დღევანდელი დღის მოთხოვნებს, ახალი მსოფლიოს წესრიგის შექმნის მიზნებს. რა თქმა უნდა, ამ ინიციატივის ირგვლივ საჭიროა გაიშალოს მუშაობა და კერძოდ, მოეწყოს პარტნიორებთან დაწვრილებითი კონსულტაციები.

კავკასიის ხალხებს!

სისასტიკისაგან თავდახსნის აუცილებლობას არასოდეს ისე არ აუმოძრავებია კაცობრიობა, როგორც დღეს. მაგრამ ამ უკეთილშობილესი მიზნისაკენ მიმავალი გზა იოლი არ აღმოჩნდა, რამაც არაერთი უარყოფითი მხარე წარმოაჩინა, უპირველესად კი — ადამიანში არაადამიანური...

სამყარო ბევრგან ხანძარს მოუცავს. იღვრება სისხლი, სისხლი უცოდველთა, უაზრო, უმეტესწილად უნიადაგო დაპირისპირების წყალობით. მრავალი ქვეყანა უფსკრულის პირას დგას. სამწუხაროდ, ვერც კავკასიამ აიცილა თავიდან ეს უბედურება.

ახლა, როცა საერთო ევროპული სახლი თითქმის გადახურულია და მთელი სამყარო იმედიანად შეჰყურებს აზიას, ჩვენ არ უნდა გვავიწყდებოდეს მთავარზე უმთავრესი: ევროპის და აზიის, მსოფლიოს ამ ორი უზარმაზარი ფილტვის ჯანმრთელი სუნთქვა უკავკასიოდ წარმოუდგენელია. წარმოუდგენელია თუნდაც იმიტომ, რომ იგია მათი შემაკავშირებელი. დიახ, ეს ჭეშმარიტად ასეა და, თუ კავკასია თავად არ იქნება ჯანმრთელი და სუფთა, მაშინ ის ვერ იკისრებს ღვთისაგან დაკისრებულ ისტორიულ მისიას.

სწორედ ამიტომ მოგმართავთ თქვენ, სიბრძნით, სტუმარ-მასპინძლობით, კეთილმეზობლობით, ჭირსა თუ ლხინში თანადგომით საყოველთაოდ ცნობილ კავკასიის უძველეს მკვიდრებს: ჩააგეთ მახვილი ქარქაშში, დაიცხრეთ ვნებათაღელვა და დადექით მამა-პაპათა კვალზე; იკმარეთ უღმრთო ხოცვა-ჟლეტა. უნდა გვახსოვდეს, რომ დაპირისპირება სულ უფრო დაგვაშორებს სანუკვარ მიზანს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ეროვნულ უმცირესობათა და ერთაშორის ურთიერთობის კომისია

დანიშვნა

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით არჩილ გრიგოლის ძე გოგელია დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვისა და ინფორმაციის მინისტრისა და ტელერადიოდეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად.

მოსკოვის საინფორმაციო საშუალებებს მოსკოვის ტელევიზიას

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის სანდრო კავსაძის განცხადება

მოსკოვის საინფორმაციო საშუალებები, განსაკუთრებით მოსკოვის ტელევიზია, არ წყვეტენ ყალბი ინფორმაციის გავრცელებას იმის თაობაზე, თითქოს საქართველოს შეიარაღებული ძალები შეტევაზე გადადიან ქალაქ ცხინვალში, არბევენ მოსახლეობას, რომელსაც თითქოს ულტიმატუმი წაუყენეს — დატოვონ ცხინვალი, წინააღმდეგ შემთხვევაში ამოხოცავენ.

კატეგორიულად მოვითხოვ მოსკოვის საინფორმაციო საშუალებების, განსაკუთრებით მოსკოვის ტელევიზიის მუშაკებისაგან, გამოიჩინონ ობიექტურობა, არ დაარღვიონ ჟურნალისტური ეთიკა და მიიღონ ჩვენი განცხადება იმის საფუძვლად, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები ცხინვალში არ შეჭრილან, და არც არავითარი ულტიმატუმი არ წაუყენებიათ მოსახლეობისათვის.

რაც შეეხება დაძაბულობას კონფლიქტის ზონაში და სროლას მოწინააღმდეგე მხარეებს შორის, ჯერ კიდევ აქვს ადგილი, და სამწუხაროდ, სრულად მისი შეწყვეტა ჩვენი მრავალგზის ცდის მიუხედავად ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება. ვთხოვთ ჟურნალისტებს, გაითვალისწინონ, რომ ყოველი არასწორი ინფორმაცია, განსაკუთრებით კი სიყალბე, იწვევს სისხლისღვრის გაგრძელებას, ადამიანთა ახალ მსხვერპლს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრის განცხადება

1992 წლის 22 ივნისისათვის დანიშნული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სესია ვერ ჩაიმართა, რადგან შეიკრიბა მხოლოდ დეპუტატთა ფაქტობრივი რაოდენობის ნახევარზე ნაკლები.

საგანგებო სესიის გამართვის აუცილებლობა გამოწვეული იყო იმით, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელზე შემოვიდა 42 დეპუტატის განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: საქართველოში შექმნილი უკიდურესად საგანგაშო მდგომარეობის, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური კრიზისის უარყოფითი შედეგები ადეკვატურად აისახება მისი განუყოფელი ნაწილის — აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცხოვრებაში. სულ უფრო ფართოვდება უმართავი პროცესები, სიღატაკის მიჯნაზე მყოფი მოსახლეობა დაუცველია, უაღრესად დაძაბულია კრიმინოგენული სიტუაცია, ფართო მასშტაბი მიიღო „ლინჩის სამართალმა", არის ეთნოკონფლიქტებისა და ქაოსის საშიშროება.

საქართველოს ერთიანობისა და სიმტკიცის, მისი მომავლის ინტერესებიდან გამომდინარე, ვგრძნობთ რა პასუხისმგებლობას ამომრჩეველთა წინაშე, ვიხსნით სადეპუტატო უფლებამოსილებას და ამასვე მოვუწოდებთ ყველა დეპუტატს, რათა თვითდაშლილად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. მოვითხოვთ შეიქმნას სახელმწიფო საბჭო საკანონმდებლო, აღმასრულებელი ფუნქციებით, და დაინიშნოს ახალი არჩევნები.

დეპუტატთა განცხადება განიხილა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა 17 ივნისის სხდომაზე. პრეზიდიუმმა ჩათვალა, რომ დეპუტატების განცხადება არის უკიდურესი ზომა, რაც ფაქტობრივად გამოიწვევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დაშლას.

აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა გადაწყვიტა, მოეწყოს კონსულტაციები დეპუტატებთან, რათა მათ ვადამდე არ მოეხსნათ სადეპუტატო უფლებამოსილებანი, ხოლო შექმნილ ვითარებაში გამოენახათ კონსტიტუციური მეთოდები იმ პრობლემათა სასწრაფო გადაწყვეტისათვის, რომლებითაც მათ მიერ არგუმენტირებული იყო გადადგომის მოთხოვნა.

გადაწყვეტილების თანახმად, დეპუტატებთან კონსულტაციები გამართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ. დეპუტატებს მიეცათ რჩევა არ მოეხსნათ უფლებამოსილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მომავალ არჩევნებამდე, რომელიც ნავარაუდევია გაიმართოს საქართველოს პარლამენტის ფორმირების შემდგომ.

კონსულტაციების შემდეგ კვლავ გაიმართა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც მიიღო დადგენილება მოიწვიონ საგანგებო სესია და განიხილონ ზემოთ აღნიშნულ დეპუტატთა უმრავლესობის განცხადება.

საგანგებო სესიის სხდომა დაინიშნა 22 ივნისს. საგანგებო სესიის მოწვევის ბრძანებულება გამოქვეყნდა 21 ივნისს აჭარის ტელევიზიით, ხოლო სესიის გამართვის დროდ გამოცხადდა 17 საათი, პერსონალურად შეატყობინა დეპუტატებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამდივნომ.

22 ივნისს 17 საათზე რეგისტრირებულმა დეპუტატებმა პრეზიდიუმისაგან მოითხოვეს სესიის დაწყების გადადება 19 საათამდე, რადგან ამ დროისათვის კვორუმი არ იყო.

პრეზიდიუმმა მიიღო წინადადება სხდომის ორი საათით გადადებაზე. 19 საათზე და 20 წუთზე კი რეგისტრირებული იყო მხოლოდ 29 დეპუტატი, რის გამოც სესია უფლებამოსილი არ იყო მუშაობა დაეწყო. დამსწრე დეპუტატებს აცნობეს, რომ პრეზიდიუმის სახელზე შემოსული იყო დეპუტატთა უმრავლესობის განცხადება და ამ ფაქტთან დაკავშირებით პრეზიდიუმმა გასწია მუშაობა.

ამის შემდეგ პრეზიდიუმმა დატოვა დარბაზი.

დარბაზში დარჩენილმა 25 დეპუტატმა გადაწყვიტა მიეღო განცხადება შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით. ეს განცხადება ვერ შეფასდება როგორც აჭარის უზენაესი საბჭოს ოფიციალური დოკუმენტი.

საქინფორმი.

რა ხდება აფხაზეთში?

როგორც ცნობილია, 24 ივნისს დილით აფხაზეთის ეგრეთ წოდებული შინაგანი ჯარების ქვეგანაყოფი შეიჭრა აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში და დაიკავა იგი. მან ძალის გამოყენებით განაიარაღა დაცვა და შინაგან საქმეთა მინისტრი გივი ლომინაძე, აგრეთვე სამინისტროს სხვა ქართველი ხელმძღვანელები აიძულა დაეტოვებინათ შენობა. გ. ლომინაძეს ამ დროს მიაყენეს სერიოზული ფიზიკური ტრავმა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთ „რესპუბლიკა აფხაზიას" 25 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ვლადისლავ არძინბას განცხადება, რომელშიც იგი თავისებურ შეფასებას აძლევს მომხდარ ინციდენტს და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას ადანაშაულებს აფხაზეთის სახელმწიფოებრიობისა და მისი კონსტიტუციის აშკარა უპატივცემულობაში. იმაზე კი არაფერს ამბობს, რომ მისი უშუალო მითითებითა და წაქეზებით განხორციელდა ეს ძალისმიერი აქცია.

და ბოლოს, ვ. არძინბა მოუწოდებს აფხაზეთის მთელ მოსახლეობას დაიცვან სიმშვიდე და არ წამოეგონ რაიმე პროვოკაციას.

აფხაზეთის ხელისუფლების მხრივ ასეთი უტაქტო და არასამართლებრივი გამოხდომა შეიძლება შეფასდეს როგორც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის უპატივცემულობა და პოლიტიკური მეთოდებით უთანხმოების მოწესრიგების სრული უგულებელყოფა.

მომხდარი ძალისმიერი აქციის შესახებ 25 ივნისს განცხადება გააკეთა აგრეთვე აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ფრაქციამ — „დემოკრატიული აფხაზეთი", სადაც ნათქვამია, რომ დეპუტატთა ფრაქციის მხრივ ყველა კომპრომისული ვარიანტი ამოწურულია და დეპუტატებს დარჩათ მხოლოდ ერთი გზა — დატოვონ აფხაზეთის უზენაესი საბჭო.

ფრაქცია „დემოკრატიული აფხაზეთი" მთელ საზოგადოებრიობას სთხოვს, მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებებისა და დაკავებული თანამდებობისა ყველანი, ვისთვისაც ძვირფასია დემოკრატია და საქართველოს ძლიერება, აფხაზეთის მთელი მოსახლეობის ინტერესები, მისი მომავალი, დადგნენ მათ გვერდით და ემსახურონ სამართლიანობას, თავისუფლებას და თანასწორობას.

იოსებ ბობეჩია.

ინტერვიუს მაგიერ

„მამა დღეს შედარებით უკეთ არის"

ანუ დიალოგი, რომელიც ბატონ გივი ლომინაძესთან ვერ შედგა

კიდევ ერთ შავ ფურცლად შევა 24 ივნისი საქართველოს ისტორიაში; თბილისში მომხდარ საშინელ ტრაგედიას აფხაზეთიდან მოსული ცნობაც დაემატა: აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ვლადისლავ არძინბასადმი დაქვემდებარებულმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა ხელთ იგდეს აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა. ამ აქციის დროს დაკავეს აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი გივი ლომინაძე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ლომინაშვილი, მერაბ გამზარდია. შინაგან საქმეთა მინისტრს გივი ლომინაძეს სცემეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიზისულია.

დღეს დილიდანვე უამრავი ხალხი რეკავს რედაქციაში და აინტერესებს ბატონ გივის მდგომარეობა. სწორედ ამ მიზნით, ვეწვიეთ თბილისის პირველი საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებას. სამწუხაროდ, საუბარი ვერ მოხერხდა. მისმა მკურნალმა ექიმმა ქალბატონმა მზია კალოევამ გაგვაცნო ავადმყოფის დიაგნოზი: ხორხის ტრავმული დაზიანება, ხორხის ხმის იოგების ტრავმული შეშუპება. ბუნებრივია, ავადმყოფი ვერ ყლაპავს, ვერ ლაპარაკობს, ძლიერი ტკივილები აქვს. მოკლედ, ბეწვზეა გადარჩენილი.

გულმა ვერ მომითმინა და მაინც შევედი ბატონ გივის სანახავად. თავზე ვაჟიშვილი ნუკრი ადგას. იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰოსპიტალში მუშაობს, ქირურგად.

როდესაც ვუთხარი რისთვისაც ვიყავი მისული, ბატონმა გივიმ სინანულით შემომხედა, უსიტყვოდ მაგრძნობინა, რომ ბევრი, ძალიან ბევრი ჰქონდა სათქმელი.

გადარჩენა მივულოცე და ვთხოვე ნება მოეცა, როგორც კი გამოჯანმრთელდებოდა, კვლავ ვწვეოდი და მაშინ გავესაუბრებოდი. იგი სიამოვნებით დამთანხმდა.

დერეფნამდე, ნუკრიმ გამომაცილა და მითხრა, — მამა დღეს შედარებით უკეთ არის, ალბათ, მალე გამოჯანმრთელდება.

ღმერთმა ქნას, ჩვენც ყველანი ამას ველოდებით.

მარადი ანასაშვილი.

დივერსიული აქტები, ყაჩაღური თავდასხმები

24 ივნისს ექსპრეზიდენტის მომხრეებმა და სხვა კრიმინალურმა ელემენტებმა თბილისში განახორციელეს დივერსიულ-ტერორისტული აქტები. ამავე დღეს ასეთი აქტები განხორციელდა დასავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში. კერძოდ: 19 საათზე ექსპრეზიდენტის მომხრე 60-კაციანი შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა აბაშის შინაგან საქმეთა განყოფილებას. თავდამსხმელებმა ავტომატური იარაღით მოკლეს მილიციის რაიგანყოფილების მეზობლად მცხოვრები მოქალაქე რეზო კილასონია, დაჭრეს მილიციის თანამშრომელი მურმან ზოკურავა, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილეს ვახტანგ კიტიას, დაარბიეს განყოფილების სამორიგეო ნაწილი, ყველა სამუშაო ოთახი და გაიტაცეს ერთ-ერთი თანამშრომლის ავტომანქანა.

20 საათსა და 45 წუთზე მარტვილის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებას თავს დაესხა 150-კაციანი შეიარაღებული ჯგუფი. სხვადასხვა სახის იარაღიდან ცეცხლი დაუშინა განყოფილების შენობას. ამ დროს აქ იმყოფებოდა მილიციის 20 თანამშრომელი. მათ შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს თავდამსხმელებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც მილიციელებს გაუთავდათ ვაზნები, ბოროტმოქმედებმა შეძლეს რაიგანყოფილების შენობაში შეღწევა. მათ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მილიციისა და პროკურატურის მუშაკებს. გაიტაცეს სამი ავტომატი, რამდენიმე სატაბელო პისტოლეტი, აგრეთვე ყაჩაღური თავდასხმების დროს ბოროტმოქმედთათვის ჩამორთმეული ნივთმტკიცებები, მათ შორის ხელყუმბარა, დაწვეს სისხლის სამართლის საქმეები, წინასწარი დაკავების საკნიდან გაათავისუფლეს ოთხი პატიმარი, რომლებსაც ბრალად ედებათ ავტომატური იარაღის, საბრძოლო მასალების ტარება და სხვა მძიმე დანაშაულობანი. მათვე გაიტაცეს რაიგანყოფილების ორი და თანამშრომლების სამი ავტომანქანა.

22 საათზე ქალაქ ფოთის შესასვლელთან, ავტომატებით შეიარაღებული 60-მდე ბოროტმოქმედი, რომელთაც ქალაქში უნდოდათ შესვლა, შეეტაკა მილიციის თანამშრომლებსა და გვარდიელებს. ბანდიტებმა გულმკერდის არეში დაჭრეს შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსი ზურაბ ბუნჯღუა, რომელიც საავადმყოფოში მოათავსეს.

ექსპრეზიდენტის მომხრე, ავტომატებით შეიარაღებული 60-კაციანი ჯგუფი ქალაქ ხობში გზებზე ჩხრეკდა ავტომანქანებს. დაახლოებით 20 საათზე ბოროტმოქმედთა მეორე ჯგუფმა ავტომატური იარაღი დაუშინა ხობის რაიონის გამგებლის თემურ გერგაიას საცხოვრებელ სახლს. ამ დროს სახლში იმყოფებოდა თემურ გერგაიას მამა — ჟორჟი გერგაია, რომელიც ინფარქტით გარდაიცვალა.

18 საათზე ბოროტმოქმედთა ჯგუფმა დაარბია სენაკის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილება, საიდანაც გაიტაცეს 2 ავტომატი, 2 პისტოლეტი, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მილიციის თანამშრომლებს.

ორი საათის შემდეგ სენაკის ტერიტორიაზე სომხეთში გასაგზავნ სატვირთო მატარებელს თავს დაესხა ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ჯგუფი, რომელმაც გადაკეტა მოძრაობა. ვაგონებიდან დაიტაცეს შაქარი და სხვადასხვა ტვირთი. აქვე ბოროტმოქმედებმა გაძარცვეს მოსკოვ-თბილისის მატარებლის რამდენიმე ვაგონის მგზავრები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

ეკონომიკა: პრობლემები, პერსპექტივა

გადავარჩინოთ გიგანტი!

ანუ რა უნდა გააკეთოს ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ, რომ დაღუპვას თავი დააღწიოს

ოთარ ხუციშვილი, დავით წერეთელი,
„სრ" სპეც. კორ.

ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში აგორდა ეს ჭორი: ქუთაისის საავტომობილო ქარხანა გაკოტრდა, მილიონობით ვალები წამოიკიდა, და თუ რომელიმე კაპიტალისტმა არ იყიდა, მალე კარს გამოიხურავსო. მართალი გითხრათ, ბოლო ხანს იმდენი საწარმო გაკოტრდა, ეს ხმები არც გაგვკვირვებია. მერე რა, რომ ქუთათურების ნაგები გიგანტი რესპუბლიკის ეკონომიკის ერთ-ერთი ფლაგმანია. საბჭოური ცენტრალიზებული მომარაგების ნაკადის დაწრეტამ უწინარესად, სწორედ გიგანტები ამოყარა რიყეზე, თორემ ლიფსიტები ახლაც თავისუფლად დაცურავენ. ასე რომ, მოულოდნელი დღეს არაფერია, მაგრამ მაინც...

ჭორი ერთია, რეალობა მეორე

ამიტომაც სხვისგან გაგონილს საკუთარი თვალით ნანახი ვამჯობინეთ. აქ კი, ქარხანაში, აი როგორი სურათი დაგვხვდა.

ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ, კერძოდ, ოთხმოციანი წლების დასაწყისიდან. მაშინ ქარხანას სერიოზული რეკონსტრუქცია გაუკეთდა, საწარმო აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკითა და ტექნოლოგიით, ხოლო ძველი ტიპის ბენზინისძრავიანი უნაგირა ავტომამწე სოფლის მეურნეობისათვის განკუთვნილმა დიზელძრავიანმა თვითმცლელმა შეცვალა. ამით თითქოს შეიქმნა წინსვლის პირობები, მაგრამ აქვე იჩინა თავი ფინანსურმა სიძნელეებმა. ჯერ ერთი, ძვირადღირებული სიმძლავრეები მთლიანად ვერ აითვისეს, და მეორეც, ავტომობილის გასაყიდი ფასი მომგებიანი არ აღმოჩნდა. პროდუქციას 14 ათას მანეთად ყიდიდნენ, მისი თვითღირებულება კი 23 ათას მანეთს აღწევდა. ასეთ დროს რაც ხდება ხოლმე, ყველას კარგად მოეხსენება და ქარხანამაც იმ ხანად 230 მილიონი მანეთის ვალი წამოიკიდა.

რა უნდა ექნათ? ახალი ავტომანქანის მოდერნიზებული ვარიანტი (კაზ — 4540-01) აითვისეს, რამაც საშუალება მისცათ პროდუქციისთვის მომგებიანი ფასი დაედოთ. სახელმწიფო შეკვეთით გამოშვებული ავტომობილი 29 ათას მანეთად იყიდებოდა, ხოლო სახელშეკრულებო ფასით — 35 ათასად, ამან ერთგვარად შეუმსუბუქა გასაჭირი ქუთაისელებს და მოკლე ხანში 17 მილიონი მანეთის ვალიც დაფარეს.

ის იყო, წელში იმართებოდნენ, რომ ახლა ენერგორესურსები შემოაკლდათ. შემოდიოდა ცეცხლის ფასად ნაშოვნი მასალები, მაკომპლექტებელი დეტალები, საწარმო კი იდგა, ვალი ვალს ემატებოდა. ამას დაერთო მიწისძვრაც, რომელმაც დაზარალებული ოჯახები თვეობით მოსწყვიტა ქარხანას.

თანდათან გართულდა ნედლეულითა და მასალებით მომარაგება. უკრაინამ უარი თქვა ლითონის გამოგზავნაზე, ხოლო კამის საავტომობილო ქარხანამ — მაკომპლექტებელი ნაწილების მოწოდებაზე. საწარმო კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა.

სწორედ ამ დროს გამოკრთა იმედის შუქი. შარშან ზაფხულში ქარხანას ეწვივნენ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ბატონი თენგიზ სიგუა და დანიელი ბიზნესმენი ბატონი ქრისტიან როსეინგი, რომელიც ქუთათურებს შეჰპირდა, ვეცდები ქარხანა ევროპის პროგრამებში ჩავსვაო. ეს ავტოქარხნელებს მსოფლიო ბაზრის, ეკონომიკის მოდერნიზებისა და საკუთარი ვალუტის გზას უხსნიდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ დაპირებას შესრულება არ ეწერა. საქართველოში მოვლენები ისე წარიმართა, რომ არც ერთმა საზღვარგარეთელმა პარტნიორმა ქუთაისელებთან ურთიერთობა აღარ ისურვა.

სწორედ მაშინ ჩაიშალა მოლაპარაკება იაპონურ ფირმა „მიცუბისისთან", რომელიც 1992 წლის დამლევისათვის ქუთაისში მცირელიტრაჟიანი ავტომანქანების კონვეიერულ გამოშვებას ვარაუდობდა. მათ, როგორც ჩანს, იფიქრეს და კონტრაქტის დადებაზე უარი თქვეს. მიზეზი საკმაოდ საფუძვლიანი აღმოჩნდა: ცენტრთან საქართველოს ურთიერთობა ისე ვითარდებოდა, რომ ქარხანა არათუ იაპონელებს ვერ მისცემდა შეპირებულ ლითონს, შეიძლება თვითონაც ულითონოდ დარჩენილიყო.

და განა მარტო ეს? საკავშირო დაქვემდებარებაში ყოფნისას ცენტრი გაუკუღმართებული პოლიტიკით მართავდა ქარხანას. როგორც ვთქვით, ავტომობილი საკავშირო ბაზარზე იყიდებოდა თვითღირებულებაზე გაცილებით იაფად და ზარალის ასანაზღაურებლად საწარმოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეძლეოდა დოტაციები. შემდეგ ცენტრმა დოტაციებზე საერთოდ ხელი დაიბანა და ზარალი მთლიანად ქარხნის ეკონომიკას დააწვა. შექმნილი ფინანსური სიძნელეების დასაძლევად საწარმოს ხელმძღვანელობა იძულებული გახდა აეღო სესხი, რომლის საერთო რაოდენობამ 1992 წლის დამდეგისთვის 174 მილიონ 780 ათასი მანეთი შეადგინა.

სამწუხაროდ, სიტუაცია ყოველდღიურად რთულდება. ნედლეულისა და მასალების მომწოდებლებმა, რომლებიც დღეს მონოპოლისტებად იქცნენ, კატასტროფულად გააძვირეს ჩვენში პროდუქცია. ამასაც არ სჯერდებიან და საქართველოსგან, რომელიც არ შევიდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, ანგარიშსწორებას მოითხოვენ საზღვარგარეთის ქვეყნებთან საგარეო ურთიერთობის წესებისამებრ. კერძოდ:

— ვაჭრობა წარმოებს საერთაშორისო ფასებით, ანგარიშსწორება ხდება კონვერტირებული ვალუტით;

— პროდუქცია გადაიტვირთება საექსპორტო ლიცენზიის საფუძველზე;

— ტვირთი აუცილებლად ექვემდებარება საბაჟო გაფორმებას.

ამასთან, მომწოდებლებმა წამოაყენეს პროდუქციაზე აუცილებელი წინასწარანაზღაურების პირობა, რისთვისაც ქარხანას 300 მილიონ მანეთამდე დასჭირდება. მოდი და გაუძელი ასეთ ეკონომიკურ ზეგავლენას.

რას ფიქრობენ თავკაცები?

— თქვენც ადექით და ავტომობილს ოქროს ფასი დაადეთ, — ვეუბნებით გაერთიანების დირექტორს ბატონ თენგიზ შუბლაძეს, — ასეთი დეფიციტის პირობებში არ გაიყიდება თუ რა?

— საქმეც ის არის, რომ არ იყიდება. იქით მასალები და მაკომპლექტებელი დეტალები გაგვიძვირეს, აქეთ ელექტროენერგია, ათასგვარი მომსახურების ხარჯები, და ავტომობილს მართლაც ოქროს ფასი დაედო. იგი ახლა უკვე 1,4 მილიონი მანეთი ღირს. ბუნებრივია, ვიწრო სპეციალიზაციის და კონსტრუქციულად რთულ მანქანას ასე ძვირად არავინ იყიდის.

— რატომ ვიწრო სპეციალიზაციის, განა თქვენი ავტომანქანები საექსპლუატაციოდ მოუხერხებელია?

— ისინი ხომ სპეციალურად სოფლის მეურნეობისთვის არის განკუთვნილი. მათი გამოყენება შეიძლება დიდ ფართობებზე, მაგალითად, კომბაინიდან ხორბლის გადმოსატვირთად, სასუქების მოსაბნევად. წარმოიდგინეთ, ახლა, როცა საზოგადოებრივი მეურნეობები იშლება, ისინი ფაქტობრივად გამოუყენებელი დარჩება. კერძო მეურნეს, ფერმერს ის არც დასჭირდება და ვერც ფასით შესწვდება.

— რას აპირებთ?

— ჩვენი მუშაკები მივლინებული არიან სხვადასხვა რესპუბლიკაში პროდუქციის რეალიზაციის პერსპექტივის შესასწავლად, ხელშეკრულებების გასაფორმებლად, საჭირო თანხის წინასწარი ჩარიცხვების უზრუნველსაყოფად. ვფიქრობთ, მათი დაბრუნების შემდეგ ბევრი რამ გახდება ნათელი.

— ავტომობილის გაიაფებას ხომ არ ფიქრობთ?

— რესპუბლიკის მთავრობაში დავაყენეთ საკითხი, როგორც გამონაკლისი დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი არ გადაგვახდევინონ. რამდენადაც ვიცი, დაგვეთანხმდნენ. ეს კი ნიშნავს, რომ ავტომობილის ფასი 400 ათასი მანეთით შემცირდება. ეს ჩვენთვის და მომხმარებლისთვისაც ბევრ რამეს ნიშნავს.

და მაინც, ყველაფერს არა. უმთავრესია საწარმოს პროფილი შევუცვალოთ და ისეთი პროდუქცია გამოვუშვათ, რომელიც ყველაზე მეტად სჭირდება სუვერენულ საქართველოს. ჯერ მთლად გარკვეული არ არის, მაგრამ რატომ არ შეიძლება არსებული ტექნოლოგიის ბაზაზე შევქმნათ ცისტერნიანი ავტომობილი, ან თუნდაც ავტომამწე, ბეტონის ამრევი თუ ნაგვის გამტანი მანქანები? ან იქნებ სრულიად სხვა, მაგალითად, 18-20 ცხენისძალიანი მცირეგაბარიტიანი სატვირთოები. მე მგონია, ამგვარ მანქანებს არც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში დაიწუნებენ და არც საზღვარგარეთ. რაც მთავარია, საბაზრო პირობებში პროდუქციის ნომენკლატურას და ფასსაც ჩვენ განვსაზღვრავთ.

დიდ იმედებს ვამყარებთ საზღვარგარეთთან ეფექტიან კონტაქტებზე, მით უფრო, რომ ქარხანას უცხოეთის ფირმებთან თანამშრომლობის ფართო შესაძლებლობები აქვს. დიდი სამრეწველო ფართობი, შენობა-ნაგებობანი, საჭირო კომუნიკაციები, გვყავს კვალიფიციური მუშახელი და საინჟინრო-ტექნიკური პერსონალი.

— რას ვთავაზობთ უცხოეთის ფირმებს?

— რესპუბლიკისა და ქარხნის ინტერესების შესაბამისად, შემოვიტანოთ ისეთი ტექნოლოგიები, რომლებიც შეესაბამება საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა პროფესიულ გამოცდილებასა და შესაძლებლობებს. კერძოდ, გადაწყვეტილი გვაქვს, შევქმნათ მცირე ტვირთამწეობის (0,5 ტონა) დიდი გამავლობის ავტომობილი, რომელიც ძირითადად გლეხურ ფერმერულ და კომუნალურ მეურნეობებს მოემსახურება.

შეიძლება ვაწარმოოთ საშუალო სიმძლავრის ტრაქტორები, რომელთა დეტალებსა და კვანძებს თავდაპირველად შემოვიტანთ, შემდეგ კი აქვე დავამზადებთ. რატომ არ შეიძლება ავითვისოთ და გამოვუშვათ მაღალი კლასის საყოფაცხოვრებო მაცივარი თუ ავტომობილ-რეფრიჟერატორი, რომლებზეც დღეს დიდი მოთხოვნილებაა?

შეიძლება კონტრაქტების გაფორმება ცნობილ საავტომობილო ფირმებთან — „ვოლვოსთან", „მერსედესთან" და სხვებთან, რომლებიც დაინტერესებული არიან ჩვენს ქარხანასთან პარტნიორული კავშირით და ერთობლივი საწარმოების შექმნით.

ამ დღეებში ჩვენთან იყვნენ ამერიკელი ბიზნესმენები საქმიან წრეებში დიდად ცნობილი კორტ კლარკის ხელმძღვანელობით. ქარხნის კრიზისიდან გამოყვანის პროგრამაზე მუშაობენ იტალიელი ბიზნესმენი პიერანჯელო პორტა და ფრანგი პიერე ბაბუენიერი. იგი განსახილველად და სასურველი ვარიანტის შესარჩევად წარედგინება საქართველოს მთავრობას. შეიქმნება ერთობლივი საწარმოები, რომლებსაც მოხმარდება როგორც რესპუბლიკის მიერ გამოყოფილი სახსრები, ისე უცხოური ინვესტიციები. ასეთი გარიგებანი თანაბრად სარგებლიანი იქნება როგორც ჩვენი ქარხნისა და რესპუბლიკისთვის, ისე პარტნიორისთვის.

ქარხნის კოლექტივმა ჩინეთიდანაც მიიღო წერილი. გვთხოვენ ავტომანქანებს, სამაგიეროდ სთავაზობენ ფეხსაცმელს, ტანსაცმელს, ელექტროსაქონელს, სურსათს, პარფიუმერიას, მიკროავტობუსებს, სამედიცინო და სამშენებლო მოწყობილობას.

ბულგარეთ-საბერძნეთის ერთობლივი ფირმა დაინტერესდა ქუთაისური ძრავებით. სამი ცალი ძრავა მზად არის და იგზავნება გამოცდაზე. ესპანეთის ერთ-ერთი ფირმა კი საკეტების ერთობლივი საწარმოს შექმნას გვთავაზობს.

შეხვედრა ედუარდ შევარდნაძესთან

და მაინც, ამ გაჭირვების ჟამს, როცა ქარხანა პრაქტიკულად გაკოტრებულია, კოლექტივისთვის ყველაზე საიმედო აღმოჩნდა ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან ამასწინანდელი შეხვედრა. რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ სათქმელი მოკლედ და გასაგებად გამოხატა:

— უჭირს მთელ რესპუბლიკას, უჭირს ქარხანასაც, მაგრამ ეს ინერტულობის საბაბს არ იძლევა. რადაც უნდა დაგვიჯდეს, ქარხანა უნდა გადავარჩინოთ. აქ ძალიან მაღალი ინტელექტუალური პოტენციალია, არის მაღალპროფესიული მუშათა კლასი. ამ ძალების დაკარგვას არ გვაპატიებს ჩვენი ქვეყანა, შთამომავლობა, ერის ისტორია.

საწარმოს დღევანდელ მდგომარეობაზე, მისი განვითარების პრობლემებზე უნდა ვიმსჯელოთ სამთავრობო დონეზე, უნდა გამოვძებნოთ რესურსები. ვფიქრობ, აუცილებელია ქარხნის გადარჩენის ვრცელი პროგრამის შედგენა. ღონისძიებების შემუშავებაში აქტიურად უნდა ჩაებან საფინანსო-საბანკო სისტემები, მომარაგების ორგანიზაციები, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სამსახურები.

თუ ახლანდელი კრიზისი გადავიტანეთ, პერსპექტივა კარგია. თავისუფალი საწარმოო ფართობი იმდენად დიდია, რომ შეიძლება ახალი ქარხანა აშენდეს. ასე რომ, თუ საავტომობილო მრეწველობის განვითარების კარგი პროგრამა შევქმენით, შევძლებთ თავისუფლად ველაპარაკოთ საზღვარგარეთელ პარტნიორებს. არ გამოვრიცხავ, რომ საქმეში თავისი წვლილი შეიტანოს საერთაშორისო სავალუტო ფონდმაც.

დღესვე, ახლავე აქტიურად უნდა ვიფიქროთ პრივატიზაციაზე, თუ გვინდა, რომ უცხოეთის ბიზნესთან საუბარი გამოგვივიდეს. ქარხნის კოლექტივი დამოუკიდებლად და გაბედულად უნდა გავიდეს საერთაშორისო ბაზარზე. უნდა გამოვიდეთ იმ კომპლექსიდან, როცა ჩვენს საქმეზე სხვა ფიქრობდა.

ვიზრუნოთ ერთად, რათა ქარხანა გადავარჩინოთ.

და ჩაისახა იმედი გადარჩენისა. დაისახა პრაქტიკული გზებიც. ამათგან უმთავრესია დაჩქარდეს რუსეთთან საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება, ურომლისოდაც ქარხანა ვერ მიიღებს მისთვის სასურველ ფასებში მაკომპლექტებელ დეტალებსა და მასალებს. საწარმოს უნდა გამოეყოს სესხი 300 მილიონი მანეთის ოდენობით, უცხოური ინვესტიციები. თუ არ იქნება ეს, არ იქნება საავტომობილო ინდუსტრია, არ იქნება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა.

და მაინც, ვინ გადაარჩენს ქარხანას?

ყოველივე ამის შემდეგ, რაც მოგახსენეთ, შეიძლება ეს კითხვა ალოგიკურიც იყოს, მაგრამ მაინც დავსვით, რადგან ჯერ კიდევ ბევრს ჰგონია, თითქოს ქარხანა მაინცდამაინც თბილისიდან ჩამოსულმა დიდი თანამდებობის პირმა უნდა გადაარჩინოს. შარშან ზაფხულში, როცა საწარმოს ეწვია ბატონი თენგიზ სიგუა, ეგონათ ის მოევლინებოდა მხსნელად ავტომშენებლებს, ახლა კი იგრძნობა, რომ მთელ იმედებს ბატონ ედუარდ შევარდნაძეზე ამყარებენ.

გვინდა პირდაპირ ვუთხრათ ქუთათურებს: არა ხართ მართალი, ბატონებო. რესპუბლიკის თავკაცებს შეუძლიათ დიდი დახმარება გაუწიონ საწარმოს და ამას შვრებიან კიდეც. მაგრამ, გვერწმუნეთ, ქარხნის გადარჩენა მათ ძალებს აღემატება. არის მხოლოდ ერთი გამოსავალი — ავტოსაწარმო თვით კოლექტივმა უნდა გადაარჩინოს.

გაიხსენეთ, რა გითხრათ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თქვენთან შეხვედრისას: „უნდა გამოვიდეთ იმ კომპლექსიდან, როცა ჩვენს საქმეზე სხვა ფიქრობდა". დიახ, წავიდა ის დრო, როცა სახელმწიფო თავის შესაძლებლობებს ყველას თანაბრად უნაწილებდა, ზოგჯერ კი იმ ჩვენი არსენასავით იქცეოდა — მდიდარს ართმევდა და ღარიბს აძლევდა. ის დრო წარსულს ჩაბარდა და აღარასოდეს დაბრუნდება.

საბაზრო ეკონომიკამ, რომელიც ჩვენთანაც მკვიდრდება, სულ სხვა ყაიდაზე წარმართა დინება. ერთ დროს სალანძღავი „ბიზნესი" და „კომერცია" დღეს ცხოვრების მამოძრავებელ ძალად იქცა. ახლა ტყუილად ვისმეს დაუწყებ ხვეწნას — არც ზემოდან და არც გვერდიდან არავინ არაფერს გადმოგიგდებს. თუ ფეხს გამოიჩენ და გაირჯები, არათუ იცხოვრებ, გამდიდრდები კიდეც, თუ არა და გაკოტრდები.

ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში, როცა ქარხანაში ვიყავით, დაბეჯითებით ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ გაერთიანებაში შემავალი ყველა საწარმო და ქვეგანაყოფი სასწრაფოდ უნდა გადასულიყო საიჯარო ურთიერთობაზე, გამხდარიყვნენ იურიდიული ერთეულები და ჰქონოდათ თავიანთი ანგარიში. უნდა შექმნილიყო საქარხნო კომერციული ბანკიც, რომელიც საიჯარო კოლექტივებს მოემსახურებოდა. ეს რომ გაკეთებულიყო, ცხოვრებას ინტერესი გაუჩნდებოდა, ქარხნის ეკონომიკაც მოღონიერდებოდა, მაგრამ ასეთი ნაბიჯი რომ არ გადადგმულა?

იჯარა სხვა მხრივაც დაგვეხმარებოდა, მოამზადებდა პირობებს საქარხნო ქონების სააქციო საზოგადოების, ანუ კოლექტივის კუთვნილებად გადაქცევისათვის. მაშინ აღარ გაჩნდებოდა ჭორის საბაბი — ქარხანა უცხოელ კაპიტალისტებს უნდა მიეყიდოსო. რატომ უნდა მიეყიდოს, როცა კოლექტივს სურვილიც აქვს და იურიდიული უფლებაც თავისი ოფლით შექმნილ ქონებას თვითონვე დაეპატრონოს?

ეს უკვე ის გზა გახლავთ, რომელიც ქარხანას რეალურად გადაარჩენს. ბუნებრივია, როცა ის საკუთარ ფეხზე მყარად დადგება და მუშაკს ცხოვრების ინტერესი გაუჩნდება, მაშინ საწარმოდან წასვლაზე თვალი აღარავის გაექცევა. გვერწმუნეთ, ვინც ადრე წავიდა, ისიც დაბრუნდება. მწვავე კრიმინოგენული სიტუაცია და საწარმოს ძარცვა-გლეჯაც, ახლა რომ ასერიგად ღრღნის მის ისედაც გაძარცულ ეკონომიკას, შეწყდება.

დღესდღეობით კი საავტომობილო ქარხანა გაკოტრებულია. მაგრამ გაკოტრება სულაც არ ნიშნავს ფარ-ხმალის დაყრას. იგი ხშირად უიმედობით კი არა, უფრო ჟინით, ახალი ცხოვრების შენების ხალისით განაწყობს ხოლმე კოლექტივს. სწორედ ასეთი განწყობილება ვიგრძენით საწარმოში. ქუთაისელ ავტომშენებლებს თავიანთ ცხოვრებაში დღეს პირველად ეძლევათ შესაძლებლობა იცხოვრონ დამოუკიდებლად, შექმნან სიმდიდრე და თვითონაც გამდიდრდნენ. მათ ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვან.

რას გვეუბნება სტატისტიკა?

უკუსვლა

ანუ ტრაგიეკონომიკა

კლიმენტი ელიზბარაშვილი,
ეკონომიკის მიმომხილველი, თსუ პროფესორი.

საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტმა შეკრიბა და შეაჯამა ჩვენი შრომითი კოლექტივების მიერ ხუთი თვის მანძილზე გაწეული სამეურნეო საქმიანობის შედეგები. სამწუხაროდ, კვლავ გრძელდება ის კრიზისული მოვლენები და ტენდენციები, რომლებმაც 1991 წელს მთლიანად მოიცვეს საქართველოს ეროვნული მეურნეობის ყველა დარგი და სფერო. მეტიც, კიდევ უფრო გაღრმავდა და კატასტროფულად დაეცა ეკონომიკის რესურსული უზრუნველყოფის დონე.

უკუსვლის პირველი და ყველაზე სამწუხარო სიმპტომი გამოვლინდა მრეწველობაში. თუ მთლიანად 1991 წელს წინა წელთან შედარებით პროდუქციის წარმოების მოცულობა 20,9 პროცენტით იყო შემცირებული, ახლა ხუთ თვეში, წინა წლის იანვარ-მაისთან შედარებით შემცირებულია 41,3 პროცენტით. ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია (46,3 პროცენტი) თავად მრეწველობის სამინისტროს სისტემაში. საერთო ანგარიშით რესპუბლიკის 31 სამინისტროდან, უწყებიდან და საზოგადოებიდან 24-ში შემცირდა წარმოების მოცულობა. ამასთან 600 სამრეწველო საწარმომ და გაერთიანებამ, ე. ი. საერთო რიცხვის ნახევარზე მეტმა (50,3 პროცენტი) 18,1 მილიარდი მანეთით შეამცირა პროდუქციის გამოშვება და რეალიზაცია.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ განვლილ პერიოდში არსებითად შემცირდა თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი სახეობის სამრეწველო პროდუქცია. მაგალითად, ელექტროენერგიის გამომუშავებამ მოიკლო 497 მილიონი კილოვატსაათით, სატვირთო ავტომობილის გამოშვებამ — 631 ცალით. შარშანდელ იანვარ-მაისში 291 ათას ტონამდე ცემენტი ვაწარმოეთ, წელს კი მხოლოდ 94 ათასი ტონა. საერთოდ შეწყდა ქვანახშირის მოპოვება.

მოკლედ კაპიტალური მშენებლობის შესახებ. აქ მიღწეული ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად მშენებლობისთვის საჭირო მატერიალური რესურსების დეფიციტი არა და არ მცირდება. თანაც, როგორც კარგად მოეხსენება მკითხველს, ამ სფეროში „მომუშავე" მანქანა-იარაღებისა და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა მეტად არასახარბიელოა. განვლილ ხუთ თვეში საექსპლოატაციოდ არ ჩაბარებულა საწარმოო დანიშნულების არც ერთი ობიექტი.

უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა ტრანსპორტი. საშუალოდ სამჯერ არის შემცირებული საერთო სარგებლობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვისა და მგზავრთა გადაყვანის მაჩვენებლები. სატრანსპორტო საშუალებების დიდი ნაწილი უმოქმედოა სათბობის დიდი დეფიციტის გამო.

სინანულის მომგვრელი მაჩვენებელია მიღებული სოფლის მეურნეობიდან. ბოლოდროინდელმა განუკითხაობამ, რაც სავარგულებისა და პირუტყვის სულადობის შემცირებით ან მოსავლიანობა-პროდუქტიულობის დაცემით გამოიხატებოდა, უკვე „იჩინა თავი". ამიტომ ჩვენი ვარაუდით, უიმედოდ გამოიყურება დროებითი მთავრობის მიერ შემუშავებული პროგრამის რეალიზაციის ბედი წარმოების შემცირების ტენდენციის შეჩერებისა და სხვადასხვა ღონისძიებების შედეგად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წლიური წარმოების 3,6 პროცენტით გადიდების თაობაზე.

შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 1 ივნისისათვის საგაზაფხულო კულტურების ნათესი ფართობები 53 პროცენტით იყო შემცირებული, თესვის აგროტექნიკურ ვადებში ჩატარებაზე ერთობ უარყოფითად იმოქმედა საწვავ-საცხები მასალების, ტექნიკის მარაგნაწილებისა და თესლის უკმარისობამ, გაუმართავმა მანქანა-ტრაქტორთა პარკმა და ა. შ. და რაც მეტად დამაფიქრებელია, იანვარ-მაისში მნიშვნელოვნად მოიკლო წინა წლის იმავე პერიოდში ისედაც შემცირებულ მაჩვენებლებთან შედარებით მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება-შესყიდვამ. სახელმწიფომ მიიყიდა 13,1 ათასი ტონით ანუ 41,1 პროცენტით ნაკლები პირუტყვისა და ფრინველის ხორცი, 46,7 ათასი ტონით ანუ 19,3 პროცენტით ნაკლები რძე, 90 მილიონი ცალით ანუ 36,5 პროცენტით ნაკლები კვერცხი.

და მაინც ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა რესპუბლიკის სოციალური სფერო. ჰიპერინფლაციური პროცესების ზეგავლენის გამო მოჩვენებითი ხასიათი მიიღო სახელმწიფო თუ კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის ზრდამ, რის გამოც, იგი ფაქტობრივი ფასებით გაიზარდა კიდეც. ეს მაშინ, როცა მისი ფიზიკური მოცულობა შესადარისი ფასების მიხედვით 12478 მილიონი მანეთით ანუ 77 პროცენტით არის შემცირებული.

ამასთან, ასევე ფასების ზრდით „აიხსნება" სავაჭრო ორგანიზაციების საცალო ქსელში საქონლის მარაგის ვითომდა ზრდა. ფაქტობრივად, ამ ფაქტორის გამორიცხვით ირკვევა, რომ იგი (მარაგი) შემცირებულია თითქმის ერთი მილიარდი მანეთით.

განვლილი ხუთი თვის მანძილზე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ბაზებიდან და საცავებიდან მიღებულია 60 პროცენტით ნაკლები კარტოფილი, 62 პროცენტით ნაკლები ბოსტნეული, 66 პროცენტით ნაკლები ხილი. კიდევ უფრო მეტად შემცირდა ნივრის, კომბოსტოს, კიტრისა და პამიდვრის მოწოდება.

ამასთან, საგრძნობლად შემცირდა რესპუბლიკის დიდი ქალაქების საკოლმეურნეო ბაზრებში სარეალიზაციოდ შემოსული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობა, მათი ფასები კი 4,9-ჯერ გადიდდა. ამის გამო მოსახლეობამ იგივე ოდენობის პროდუქციის შეძენისთვის მილიარდ 264 მილიონ 500 ათასი მანეთით მეტი დახარჯა.

მეტად უარყოფითად იმოქმედა საავტომობილო-სამგზავრო ტარიფების მკვეთრმა გადიდებამ. თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებზე მაისის დამლევისათვის ერთი კილოგრამი ძროხის ხორცი ღირდა 120 მანეთი, ცხვრისა — 220 მანეთი, ქათამი — 223 მანეთი, კილოგრამი ნიორი — 135 მანეთი, ლობიო — 62, სიმინდის ფქვილი — 25, კომბოსტო — 29, საადრეო კარტოფილი — 27, ხენდრო — 113, თაფლი — 250 მანეთი.

ქართველი სტატისტიკოსების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ისეთი მნიშვნელოვანი სოციალური კატეგორიის განსაზღვრა-შეფასება, როგორიცაა რაციონალური სამომხმარებლო კალათის ღირებულება. მაისში იგი, მოსახლეობის შრომისუნარიანი ასაკის ერთ სულზე გაანგარიშებით, 3270 მანეთს შეადგენდა, მაშინ როცა ფაქტობრივი რაციონალური სასურსათო კალათის ღირებულება 1870 მანეთს არ აღემატებოდა. ამასთან შესაბამისი მაჩვენებლების საგრძნობი გაუარესება შეინიშნება. მარტო ბოლო სამ თვეში მინიმალური სასურსათო კალათა ერთნახევარჯერ გაძვირდა. ამასთან ერთ წლამდე ასაკის ბავშვის კვების ღირებულებამ მაისის ფასებით თვეში 1200 მანეთს მიაღწია.

დაბოლოს, ორიოდე სიტყვა რესპუბლიკის მოსახლეობის დასაქმების შესახებ. აქ ორი კატეგორია იპყრობს ყურადღებას. პირველი თავად დასაქმებულთ გულისხმობს, მეორე კი უმუშევართა რიცხვს. საანგარიშო პერიოდში დასაქმებულთა რაოდენობამ 39 ათას კაცს მიაღწია, მათ შორის 17 პროცენტს ანუ 6 ათას კაცს უმუშევრის სტატუსი ჰქონდა. საგულისხმოა, რომ ბოლო ხანებში შესამჩნევად მცირდება სამუშაოდან გამოთავისუფლებულთა წილი. მაგალითად, თუ ისინი დაუსაქმებელთა მიმართ წლის დამდეგისათვის 25 პროცენტს შეადგენდნენ, 1 ივნისისათვის 8 პროცენტამდე შემცირდნენ. ეს იმაზეც მეტყველებს, რომ შრომის სახელმწიფო ბირჟაზე რეგისტრაციას გადის სულ უფრო მეტი დაუსაქმებელი მოქალაქე, რათა ფასების გაუგონარი გადიდებისა და უმუშევრობის ზრდის პირობებში მიიღოს შემწეობა, თუმცა თავის მხრივ ამგვართა წილიც მცირდება. თუ წლის დამდეგისათვის ისინი რეგისტრირებულ უმუშევართა 92 პროცენტს შეადგენდნენ, ივნისის დამდეგს შემწეობას იღებდა უმუშევართა მხოლოდ 53 პროცენტი.

ასეთია საბაზრო ეკონომიკისაკენ მიმავალი ჩვენი საზოგადოების პირველი ნაბიჯების ძალზე მოკლედ მიმოხილული შედეგები.

ამერიკელი სამხედრო ექსპერტები საქართველოში

საქართველოს რესპუბლიკა საერთაშორისო ასპარეზზე გადის სამხედრო დარგშიც. ამის თვალსაჩინო დასტურია ის, რომ რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოვიდა ადგილებზე შეიარაღების ინსპექციის დარგის წამყვან ამერიკელ ექსპერტთა ჯგუფი. წამყვან ამერიკელ ექსპერტთა ჯგუფის მოგზაურობა მოიცავს ყოფილი კავშირის შვიდ რესპუბლიკას. თავიანთი პირველი ვიზიტის ქვეყნად ამერიკელებმა აირჩიეს საქართველო. მოგზაურობის მიზანია, აღმოუჩინონ საქართველოს ტექნიკური დახმარება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

ორი დღე გრძელდებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროში კონსულტაციები ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ადგილებზე ინსპექციის საკითხების გამო. ამერიკელ ექსპერტთა ჯგუფს მეთაურობდა დოქტორი ედვარდ იფტი — ამერიკის შეერთებული შტატების ინსპექციების სააგენტოს დირექტორის მოადგილე. ამერიკელ ექსპერტთა ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკაში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პოლიტიკური განყოფილების თანამშრომელი ტობი დევისი.

მიესალმა რა ამერიკელ სტუმრებს, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ პოლკოვნიკმა ნოდარ გიორგაძემ აღნიშნა, რომ საქართველო მოხარულია უმასპინძლოს ამერიკელ ექსპერტებს. ბოლო დროს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა რამდენჯერმე მიიღეს მონაწილეობა ვენის, ბრიუსელის, კანადის შეიარაღებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო თათბირებში. ჩვენი წარმომადგენლები ყველგან გრძნობდნენ ყურადღებას საქართველოს პრობლემებისადმი. ამას წინათ, როგორც ნ. გიორგაძემ თქვა, ევროპაში ნატოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბიდან მიიღეს დეპეშა, რომელშიც ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპა მზად არიან დახმარება გაუწიონ მას ყველაზე ფართო პროფილის სამხედრო კადრების მომზადებაში. საქართველო მადლობელია ამ მეგობრული დახმარებისა.

ამასთანავე ნ. გიორგაძემ აღნიშნა, რომ საქართველომ ოფიციალურად გამოაცხადა აქტიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკა და ყოველნაირად უჭერს მხარს კოლექტიური უშიშროებისა და სტაბილურობისათვის გამიზნულ ყველა საერთაშორისო შეთანხმებას. საქართველო შეგნებულად აპირებს თავისი კვოტების შემცირებას შეიარაღებაში. ამით მას სურს განსაკუთრებით გაუსვას ხაზი იმას, რომ ისწრაფვის მშვიდობიანად და მეგობრულად იცხოვროს თავის მეზობლებთან.

ამერიკელ ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა დოქტორმა ედვარდ იფტმა მადლობა გადაუხადა მასპინძლებს გულთბილი მიღების გამო, შესანიშნავი სამუშაო პირობების შექმნის, საქართველოში არსებული ვითარების, მისი შეიარაღებული ძალების მშენებლობის შესახებ დაუფარავი ინფორმაციისათვის და აღნიშნა, რომ თავიანთი მხრივ ამერიკელი ექსპერტები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მათი ქართველი კოლეგები ფლობდნენ ადგილებზე ინსპექციისათვის მუშაობის ყველა მეთოდს.

ამერიკელმა ექსპერტებმა დაწვრილებით ილაპარაკეს თავიანთ მუშაობაზე, თან ჩამოიტანეს მდიდარი ფაქტობრივი მასალა — დოკუმენტები, რუკები, დიაგრამები, სლაიდები, სპეციალური ლიტერატურა. ყოველივე ეს გადასცეს საქართველოს მხარეს.

ამერიკელი ექსპერტები კიშინიოვში გაფრინდნენ.

ლევან დოლიძე,
რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი.

მუშტად შეკრული ხალხის ნება

საქართველოს დემოკრატიული კავშირის განცხადება

საქართველოს დემოკრატიული კავშირი გმობს თავზეხელაღებული რევანშისტების მოქმედებას.

მას მიაჩნია, რომ ჩვენ დღეს მოწმენი ვართ ეროვნული ტრაგედიისა, როდესაც ადამიანთა ან მათი დაჯგუფებების ენერგია და სიცოცხლე იწირება თანამემამულეთა სიცოცხლის გაწირვის საქმეს, და არა ქვეყანას და მისი მომავლის შეძენას.

დემოკრატიული კავშირი იზიარებს ხელისუფლების კურსს პრინციპულ პუნქტებში. ამასთან, მას მიაჩნია, რომ ხელისუფლება უნდა ეყრდნობოდეს ისეთ პროფესიულ სტრუქტურებს, რომელთათვის მსგავსი ავანტიურები მოულოდნელობა არ იქნება.

დემოკრატიული კავშირი მოუწოდებს ერს კონსოლიდაციისკენ, თხოვს ყველა პარტიასა და პოლიტიკურ ორგანიზაციას, წინასაარჩევნო პერიოდის სპეციფიკის მიუხედავად, მხოლოდ ღრმად წინდახედული სიტყვებითა და საქმეებით იმოქმედონ.

●

საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს

24 ივნისს, დილის 4 საათზე ყოფილი პრეზიდენტის რამდენიმე ათეული შეიარაღებული მომხრე შეიჭრა ტელევიზიის შენობაში და ტელეანძაზე. არ შეიძლება იმის არდანახვა, რომ ეს ბინძური ავანტიურა გახდა მორიგი რგოლი საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართულ პროვოკაციათა იმ ჯაჭვში, რასაც ბოლო დროს ასე გამალებით ახორციელებს რუსეთის რეაქციული წრეები. რუცკოისა და ხასბულატოვის მოწოდებებს რუსეთის სამხედრო ფორმირებებმა დაამყარონ წესრიგი საქართველოში, საფუძვლად ედო მტკიცება, რომ სახელმწიფო საბჭო, პირადად ედუარდ შევარდნაძე ვერ აკონტროლებენ ვითარებას ქვეყანაში. ამ აზრმა 23 ივნისს პროგრამა „ვესტის" საღამოს გამოშვებაშიც სავსებით გახსნილად გაიჟღერა. მაშინ მან საქართველოს მოსახლეობაში მხოლოდ განცვიფრება და გაღიზიანება გამოიწვია. მაგრამ რამდენიმე საათში ყოველივე ნათელი გახდა!

დღეს ჩვენი ქვეყანა რეალურად უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. რუსეთის ნაციონალ-შოვინისტური წრეები გრძნობენ, რომ ცოტაც და საქართველო საბოლოოდ დაიბრუნებს საკუთარ ადგილს თავისუფალ და თანასწორუფლებიან სახელმწიფოთა თანამეგობრობაში. ამიტომ არის, რომ ეს ძალები აღარ ერიდებიან არავის და არაფერს, ჩამოიხსნეს ნიღაბი და გადმოვიდნენ პირდაპირ შეტევაზე საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის მოსაწესრიგებლად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა 24 ივნისისათვის დაგომისში დანიშნულ ბატონების ელცინისა და შევარდნაძის შეხვედრას. ეს შეხვედრა უნდა გამხდარიყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა საქართველოს კანონიერი უფლებების აღდგენის, მისი ინტერესების დაცვისათვის.

სწორედ ამ შეხვედრის ჩაშლა ჰქონდა განზრახული გამსახურდიას მითითებით მოქმედ ნაძირალათა ჯგუფს.

გვაქვს თუ არა უფლება ამის შემდეგაც არ დავარქვათ ყოველივეს თავისი სახელი?! კვლავაც შევეგუოთ ოფიციალურ გამოცემებში გამოქვეყნებული ძალადობისა პირდაპირ მოწოდებებს?! შევეგუოთ იმას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა შეეწიროს ავანტიურისტებსა და პოლიტიკური მანიაკების თავგასულობას?!

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა პარტიას, საზოგადოებრივ ორგანიზაციას, თითოეულ მოქალაქეს, ყოველგვარ უთანხმოებათა და პოლიტიკურ პლატფორმათა სხვაობის მიუხედავად, ამ კრიზისულ პერიოდში გავაერთიანოთ ჩვენი ძალები სამშობლოს საკეთილდღეოდ ერთიანი, ძლიერი, დემოკრატიული სახელმწიფოს შენებისათვის.

მწვანეთა პარტია,
ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია.

●

ბანდიტებმა პასუხი უნდა აგონ

საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ღრმა აღშფოთებას გამოთქვამს 24 ივნისს მომხდარი მუხანათური ფაქტის გამო, რაც ერის ინტერესებისთვის ზურგში ლახვრის ჩაცემაა. ის, რაც ექსპრეზიდენტის მომხრეებმა 24 ივნისს ჩაიდინეს, მათი მხრივ უდიდესი ცინიზმი, საქართველოსადმი სიძულვილის გამოვლენა და მისი სახელმწიფოებრიობის ხელყოფაა.

პრინციპულად ვგმობთ მომხდარ ფაქტს და მოვითხოვთ მისი ორგანიზატორების სათანადოდ დასჯას. ამავე დროს მოვუწოდებთ საქართველოს რესპუბლიკის ყველა მცხოვრებს მხარი დაუჭირონ საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას უკანონო შეიარაღებული ბანდების განიარაღებაში, რესპუბლიკაში წესრიგისა და კანონიერების აღდგენაში.

საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

●

საქართველოს მონარქისტულ-კონსერვატიული პარტიის განცხადება

ამა წლის 24 ივნისს გამთენიისას, ტერორისტული ჯგუფების მიერ ტელერადიოდეპარტამენტისა და ტელეანძის დაკავების მცდელობამ კიდევ ერთხელ დაურღვია სიმშვიდე დედაქალაქს და უკიდურესად დაძაბა მდგომარეობა, კვლავ დაიღვარა ქართველთა სისხლი.

ნიშანდობლივია, რომ ხელისუფლების დასამხობად გამიზნული შეიარაღებული აქცია, განხორციელდა საქართველო-რუსეთის შორის უმაღლეს სამთავრობო დონეზე შეხვედრის წინ, მიზნად ისახავდა საქართველოს ხელისუფლების დღევანდელი საგარეო და საშინაო პოლიტიკური კურსის დისკრედიტაციას, ქართველებს შორის კონფრონტაციის გაღრმავებას.

საქართველოს მონარქისტულ-კონსერვატიული პარტია თვლის, რომ ეს პროვოკაციული ქმედება მიმართულია საკუთარი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ და კიდევ ერთხელ კატეგორიულად გმობს იარაღის გამოყენებას პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად.

მომავალზე ერთად ვიფიქროთ!

ჟურნალისტის უსათაურო ჩანაწერები

ამბობენ ხალხს შეცდომა არ მოსდის, ხალხი ყოველთვის მართალიაო... ალბათ ასეა, მაგრამ დედამიწაზე ერთ-ერთი ყველაზე მშრომელი და განათლებული გერმანელებიც ხომ შეცდნენ — თითქმის 12 წელიწადს „ჰაილ ჰიტლერს" გაიძახოდნენ!

სხვათა შორის, ადოლფ ჰიტლერმა თავის მეტოქეებს სწორედ არჩევნებში აჯობა და კანონიერი გზით გახდა კანცლერი. მერე რაც ჩაიდინა, ყველამ ვიცით...

ამ დუნიაზე შეცდომა ყველას მოსდის — მარტოკაცსაც და ხალხსაც, მაგრამ ბრძენი ერი სხვის შეცდომებს როდი იმეორებს, იგი მათ ითვალისწინებს.

* * *

ინფლაციის ქარბუქი მძვინვარებს...

ხალხი ღატაკდება... ასანთი მანეთი ღირს, კარტოფილი ორი თუმანი, ნიგოზი ოცდახუთი თუმანი. ერთი წყვილი ჩვეულებრივი ფეხსაცმელი ტელევიზორის ფასი გახდა, ხოლო ტელევიზორი — მანქანისა...

მიქრის ფასები, უძრავია მხოლოდ სახელმწიფო სისტემა და ჩინოვნიკის გაკოჟილი პოტენციური მეწარმე...

აი, შემზარავი ინფორმაცია — ყოველდღიურად შიმშილისაგან, უპატრონობისაგან მარტო თბილისში სამი ადამიანი კვდება. თუ არ გჯერათ, ჰკითხეთ მუხათგვერდის მესაფლავეებს. იქაურ მიწაში სხვებთან ერთად დისტროფიკებიც იმარხებიან...

ზოგი მანუგეშებს, რუსეთში უარესი ამბავიაო... რუსეთისა რუსმა იკითხოს, ჩვენ — ჩვენი. ესეც არ იყოს რუსის ბუნება სხვაა, ქართველისა — სხვა. რაც პირველისათვის ჩვეულია, მეორისთვის შეიძლება სრულიად მიუღებელი აღმოჩნდეს. და მერე, ღატაკი ქართველი არ იტყვის მომშივდაო. მოკვდება და არ „გაბოხიკდება", არაყში ნუგეშს არ პოვებს, ნაგვის ბუნკერში არ გაათენებს, არ გავერანდება...

ქართველი მათხოვრები ქუჩებში თუ არ ჩანან, იმიტომ კი არა, რომ გაჭირვებულნი არ არსებობენ. ძალიანაც ბევრნი არიან, მაგრამ ქართული შეგნება ცხოვრების ამ ფსკერზე დაშვებას უკრძალავს...

— ხუთი წლის განმავლობაში სახელმწიფო საკუთრების მხოლოდ 25 პროცენტი მიეცემა ხალხსო, ყოფილმა პრემიერმა ასე ბრძანა. სამწუხაროდ, ზოგიერთი ხელმძღვანელი დღესაც ასე ფიქრობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კვლავაც დაუსჯელად უნდა გვყვლიფონ, ხუთი წელიწადი სახელმწიფოს მიერ გამოშვებული პროდუქციის ფასების ჯირითს უმწეოდ უნდა ვუყუროთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ერთადერთ ხსნას — თავისუფალ ეკონომიკას სასიკვდილო ლახვარი ჩავცეთ. მე თუ ჩემ საკუთარ საწარმოში მურაბას ვამზადებ, ბუნებრივია, დამჭირდება ქილა, თუთიის სახურავი, ეტიკეტი, რომელსაც ვთქვათ, ამზადებს არაპრივატიზებული, ე. ი. სახელმწიფო საკუთრების 75 პროცენტში შემავალი ქარხანა. იგი სახელმწიფო გეგმით მუშაობს და სრულიადაც არ ენაღვლება ჩემი გასაჭირი. ალბათ, დამჭირდება ქრთამი ან ნატურალური გაცვლა, ეს კი გააძვირებს ჩემს მიერ დამზადებულ პროდუქციას, როგორც თავისუფალ მეწარმეს სახელს გამიტეხს, მყიდველს დამიკარგავს და გამაკოტრებს...

ბიუროკრატიული აბსოლუტიზმიდან თავისუფალ ეკონომიკაზე ნარნარი, ხავერდოვანი გადასვლა შეუძლებელია. ისინი სხვადასხვა სიბრტყეში მდებარეობენ და როგორც სამართლიანმა „პრაქტიკამ" გვიჩვენა, შეხების წერტილები არა აქვთ — ან ერთი უნდა იყოს, ან მეორე...

გამოსავალი ერთია — უნდა გადავხტეთ!

რაც უფრო ჩქარა გადავხტებით, მით უფრო მალე დაწყნარდება ქვეყანა.

* * *

სიკეთე სიბრძნის ნახევარია, დანარჩენი — სამართლიანობაა. სამართლიანსა და კეთილს ხალხი დაუჯერებს და გაჰყვება.

სიკეთე ბევრს ძალუძს, სამართლიანობა რჩეულთა ხვედრია.

სამართლიანობას ცხოვრების გამოცდილება და ფიქრის უნარი ესაჭიროება, სიკეთეს — მარტო სურვილი.

სამართლიანობა უსიკეთოდ სისასტიკეა, მარტო სიკეთე კი სიბრძნის ნახევარია...

* * *

სამძებრო სამსახურის არცთუ ყოველთვის მაღალი კვალიფიკაცია გამრავლებული თითქმის ტოტალურ მექრთამეობაზე არის ის კვარცხლბეკი, რომელზედაც ასე თავშომწონედ დგას დღევანდელი ყაჩაღი.

... ამას წინათ ერთ ნაცნობ გამომძიებელს ვკითხე, პლევაკო თუ გსმენია-მეთქი. არაო, მიპასუხა, რუსულში მოვიკოჭლებო. ისე, გადაფურთხებას უნდა ნიშნავდესო...

... რაც უფრო უმწეოა სამძებრო სამსახური, მით მეტად იყენებს დაკითხვის აკრძალულ მეთოდებს, რაც მეტი სისასტიკით ექცევა იგი ეჭვმიტანილს, მით მეტ არასწორ ჩვენებებს იღებს მისგან... ამიტომაც გალაღდა ნამდვილი დამნაშავე... დღემდე გაუხსნელია არა ერთი კარგი ბიჭის ავაზაკური მკვლელობის მარტივი საქმე. როგორც ჩანს, დანაშაული საზოგადოების გარკვეული ფენების ზნეობის კონცენტრირებული გამოხატულებაა და ამდენად მეტნაკლებად ყველას გვედება ბრალი...

...ხვალინდელ მკვლელობას გუშინ ჩადენილი და აუცილებლად გახსნილი მკვლელობა შეაჩერებს. საერთოდ, გაუხსნელი საქმე ასკეცებს დანაშაულს, აგულიანებს დამნაშავეს, ამრავლებს მათ რიგებს. არც კი ვიცი, ქვეყნისათვის რა უფრო საზიანოა — სისხლის სამართლის დანაშაული, თუ ამ დანაშაულის გაუხსნელობა...

და კიდევ: მკვლელობა ისეთი რიგის დანაშაულია, რომელსაც ვერსად გაექცევი და დაემალები — ადრე თუ გვიან შენს მიერ განადგურებული ადამიანის სახება წამოგეწევა და ისე გაწამებს, ისე დაგტანჯავს, რომ გაჩენის დღეს დაიწყევლი... და ეს მოხდება მაშინ, როცა ყველაზე მეტად მოგენატრება სიმშვიდე და სულის მყუდროება. ამიტომ კანონს არ უნდა ასცდე, უნდა გაიარო სასჯელის ცხრავე წრე, რომ მერე, სიცოცხლის მეორე ნაწილში, როგორც განაწამები და ნატანჯი კაცი ღმერთმა შეგიფაროს და გადაგარჩინოს...

* * *

მლიქვნელი დაჩოქილი თავდამსხმელია — დამცირებას არ გაპატიებს, მოიხელთებს დროს, წელში გაიმართება და მთელი გაშმაგებით გიცემს. არ დაგინდობს. უღირსი სხვაც არის, მაგრამ მლიქვნელი გამოირჩევა იმით, რომ თავის უღირსობას აშკარავებს, დამცირებით ამაყობს — საქვეყნოდ აცხადებს უფროსისადმი, რომელზედაც დამოკიდებულია, არაამქვეყნიური სიყვარულისა და ერთგულების ამბავს... სინამდვილეში კი, წვეთ-წვეთ აგროვებს შურისძიების შხამს, რომ „აღიდგინოს" დამცირების წუმპეში ამოსვრილი ღირსება და ბედს გაუსწორდეს...

* * *

შრომა-გასწორების დაწესებულებების სამმართველო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს რომ ექვემდებარება, ამაში უჩვეულოს რატომღაც ვერაფერს ვამჩნევთ. თითქოს ასეც უნდა იყოს — დაპატიმრების წუთიდან სასჯელის მოხდის უკანასკნელ დღემდე დამნაშავეს მილიცია პატრონობს. არადა, მოდით ვუპასუხოთ მარტივ კითხვას — სასჯელის მოხდის რა პირობებს შექმნის ორგანიზაცია, რომელსაც განსჯილმა ვინ მოთვლის რამდენი თავსატეხი და საწუხარი გაუჩინა? დიახ, — სასტიკს, აუტანელს... და ეს, წარმოიდგინეთ... გასაგებიცაა. დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლამ ბევრი მილიციელის სიცოცხლე შეიწირა. აღარაფერს ვამბობ იმ თეთრად ნათევ ღამეებსა თუ სამსახურის უმძიმეს პირობებზე, რომელსაც მილიციელის (თუ პოლიციელის) პროფესია გულისხმობს... ამიტომ ციხეებსა და კოლონიებში გამეფებული სისასტიკე ბუნებრივია და საზრდოობს იმ შეგნებით, რომ დანაშაულის ჩამდენმა თავისივე უფლებები თვითონვე გაიუქმა. პატიმრისადმი მილიციის ასეთ დამოკიდებულებას ვერასოდეს შევცვლით — იგი ნორმალური ფსიქიკის ფარგლებშია, გამაღიზიანებელზე ადექვატური რეაქციაა...

განსჯილთან სასულიერო პირის მისვლა, წირვა-ლოცვის გამართვა, წიგნებისა თუ სხვა საჩუქრების მიტანა, ლექციების წაკითხვა, თავისთავად ეს კეთილშობილური აქცია ციხის სინამდვილესთან მკვეთრ კონტრასტშია და ვგონებ, უფრო სევდის მომგვრელია, ვიდრე შვებისა და ნუგეშის...

თავისუფლებააღკვეთილთა სამყაროს რატომ უნდა მეურვეობდეს მაინც და მაინც მილიცია? რა, მას მეტი საზრუნავი აღარ გააჩნია, თუ ყველა მოთარეშე დამნაშავე უკვე „აყვანილია" და მთელ საქართველოში უსაფრთხო მყუდროება სუფევს? ან თუ განსჯილს მილიცია უნდა პატრონობდეს, რით უნდა ახორციელებდეს ამას? აქვს კია შინაგან საქმეთა სამინისტროს პედაგოგიური, სოციალ-ფსიქოლოგიური, ან სხვა რეაბილიტაციურ-ჰუმანიტარული სტრუქტურები?

ხომ არ აჯობებდა ეგრეთ წოდებული „შრომა-გასწორების" დაწესებულებები შესაბამისი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის მიგვენდო...

მოდით, ვიფიქროთ ამაზე...

* * *

პოლიტიკა მათემატიკასა თუ ფიზიკასავით რთული მეცნიერებაა. სპეციფიკური ნიჭის გარდა მის დაუფლებას ვინ მოთვლის რამდენი შრომა, რამდენი წიგნისა თუ ფოლიანტის წაკითხვა სჭირდება...

უზეირო დრამატურგის ყველაზე დიდი ზარალი ცარიელი მაყურებელთა დარბაზია, მაგრამ უნიჭო და გაუნათლებელი პოლიტიკოსის მოღვაწეობამ შეიძლება ადამიანთა სისხლი დაღვაროს...

მაინც რა ბედნიერები არიან ქიმიკოსები, ფიზიკოსები, მათემატიკოსები, გეოლოგები, ბიოლოგები, ექიმები მათ საქმეში უვიცი რომ ვერ ერევა.

* * *

9 აპრილი „ჩაწყობილი" რომ იყო, ვფიქრობ ბევრი დამეთანხმება. განა რა ბედენა ჭკუა უნდოდა იმის მიხვედრას, რომ ესოდენ ფართომასშტაბიან, ანტიიმპერიულ, პირველ სერიოზულ საპროტესტო აქციას ავღანეთიდან გამოსული რუსეთის სისხლიანი მხედრიონი „უყურადღებოდ" არ დატოვებდა... ალბათ, ამ საკითხს კვლავაც მივუბრუნდებით, დავადგენთ, მაინც ვინ განაგებდა მაშინ თავისუფლებამოწყურებული ახალგაზრდების თავგანწირვის ძარღვს, ვის აძლევდა ხელს უმანკო ადამიანების დაღუპვა, მომხდარი უბედურების შედეგად პოლიტიკური დივიდენდები ყველაზე მეტი ვის ერგო...

9 აპრილს დაღუპულთა დიდი პატივით დაკრძალვისაგან განსხვავებით რუსთაველის პროსპექტზე, დეკემბერ-იანვარში უმოწყალოდ დახოცილთა სრული სია დღესაც არა გვაქვს...

ხომ არ დადგა ჟამი მთავარზე ჩავფიქრდეთ — არის თუ არა შინა პოლიტიკური ვნებათაღელვა თუნდაც ერთი ახალგაზრდის სიკვდილის ტოლ-ფასი? გვინდა კია ისეთი თავისუფლება, თუ სხვისი ტკივილის, მისი გათავისების უნარი დავკარგეთ, ერთმანეთი აღარ დავინდეთ, სიკვდილს შევეგუეთ?

ქვეყნისუფლება, როგორც ცნება და სიტყვა, ქართულში საერთოდ არ არსებობს. წინაპრისათვის მთავარი იყო ის, თუ თანამემამულენი როგორ იცავდნენ მის პირად ღირსებას, და თავად როგორ ზრუნავდა მათზე...

უცხო ქვეყნების საელჩოთა ბაირაღების სიმრავლე კიდევ არ ნიშნავს ქვეყნის თავისუფლებას. გავიხსენოთ ფაშისტური გერმანია, ან წითელი რუსეთი...

თავისუფლება ხალხის წიაღში, მის სულში იბადება და არა ხელისუფლების დერეფნებში...

სადაც ფასობს ადამიანის სიცოცხლე, იქ კიაფობს თავისუფლების ჩირაღდანი...

მხოლოდ ერთმანეთზე ზრუნვით, ფიქრით გავზრდებით თავის უფალნი!

* * *

... ოსებში ბევრი ჭკვიანი მეგულება, არც ქართველები არიან ამ მხრივ უმწეონი და მაინც, მიკროფონითა და კალაშნიკოვით შეიარაღებულმა ჩვენმა საერთო მტერმა, როგორ მოგვატყუა, გაგვაბრიყვა, ლამის ჭკუიდან შეგვშალა, ამდენი სისხლი დაგვაღვრევინა...

ძნელბედობის ჟამს ხომ ყოველთვის ერთად ვიყავით. მარტო დიდგორის ბრძოლა რადა ღირს..

ან, როცა რუსთ ხელმწიფემ ოსებს შეუტია, განა ლტოლვილები ისევ ქართველებმა არ შეიფარეს, შიდა ქართლის უმშვენიერეს მიდამოებში რომ დაასახლეს?

ჩემი დედულეთი ტყვიავი ცხინვალთან სულ ახლოსაა. ბალღობიდან კარგად მახსოვს ის სიყვარული და ძმობა, რომელიც ჩვენს ოჯახსა და ოსებს შორის იყო. თუმცა სხვანაირი ანგარიში უნდა გვქონოდა. პაპაჩემის ძმა სწორედ ცხინვალის მიდამოებში წამებით მოკლეს. ეს უბედურება ყოველთვის გვინამავდა თვალებს, მაგრამ ოსებთან მეგობრულ ურთიერთობაში ხელს როდი გვიშლიდა, რამეთუ კარგად ვიცოდით, მის მკვლელობაში ოსებს კი არა, ბოლშევიკების შიზოიდურ ზრახვათ ედო ბრალი.

შიდა ქართლის გამწარებულო ჭირისუფალო, შვილის, ძმის, ქმრისა, თუ მეგობრის საფლავთან ტყვიის წვიმის გამო რომ ვერ მისულხარ, ქართველმა ან ოსმა როდი გაგაუბედურა. ეს იმან ჩაიდინა, ვინც მკვლელი მოძებნა, გააგულიანა და იარაღი ჩაუდო ხელში... დნესტრისპირეთშიც იხოცებიან ადამიანები, მაგრამ იქ, არც ქართველია და არც ოსი...

თუ სხვანაირად ფიქრობ, თუ გამწარებულ სულში კონკრეტული ქართველისა თუ ოსის მიმართ შურისძიების ცეცხლი გინთია, მაშინ ბრალი ჩვენი, რაც დაგვემართა ახია ჩვენზე..

დალხენილი, მდიდარი ქვეყნიდან არავინ გარბის... იმპერიის შენარჩუნების მომხრეებმა კარგად იციან, თუ ხელს არავინ შეუშლის, საქართველო, როგორც ბუნებრივი მდიდარი რესურსებისა და ძლიერი სულიერი პოტენციის მქონე სახელმწიფო ყველასათვის მალე მიმზიდველი გახდება და მაშინ, არამცთუ შიდა ქართლში მცხოვრები ოსები, არამედ თვით ოსეთიც და სხვანიც მოისურვებენ საქართველოსთან ერთად ყოფნას...

იმპერიის დერჟავული მენტალიტეტი ანუ სახელმწიფოებრივი შეგნება საქმის ასეთ ვითარებას არ დაუშვებს. მეტიც, შეეცდება აფხაზეთშიც უფრო მეტად გაართულოს მდგომარეობა...

თუ საქართველოს ამ ორ რეგიონში მყარი მშვიდობა დამყარდა, აი ნახავთ, კიდევ რაღაცას გამოგვიგონებს, ყველაფერზე წავა, ოღონდ ერთად არ ვიყოთ, ოღონდ არ მიეცეს საქართველოს ფრთების გაშლის შესაძლებლობა.

ამიტომ გონებას მოვუხმოთ და მომავალზე ერთად ვიფიქროთ!

სანდრო მამასახლისი.

რა ენა წახდეს

უქარქაშო ხმლების მარადიული პრობლემა

მინდა მოკლედ ჩემი აზრი გამოვთქვა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ ბატონ ზურაბ ახვლედიანის წერილთან: „რატომ ვუკარგავთ მშობლიურ ენას სილამაზესა და დახვეწილობას?" დაკავშირებით. წინდაწინ ვიტყვი, რომ სტატია საინტერესოდ, საქმის ცოდნით არის დაწერილი და, ამდენად, უსათუოდ მიიქცევს როგორც მკითხველის, ისე პროფესიონალ ჟურნალისტთა თუ პოლიგრაფისტთა ყურადღებას. კარგი იქნება ჩვენი რედაქციების მუშაკებმა, რომელთაც უშუალოდ ევალებათ ტექსტის მომზადება გამოსაქვეყნებლად, სისტემატურად ჩახედონ აქ მოტანილ ნიმუშებს..

და მაინც ერთგვარი უკმარისობის გრძნობა დამიტოვა ამ, ვიმეორებ, უაღრესად საჭირო პუბლიკაციამ.

ავტორი სწორად შენიშნავს, თუ რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ რედაქციის თანამშრომლებს ამ მხრივ. მართალი გითხრათ, გამიკვირდა და გამიხარდა კიდეც აქ გამოთქმული ერთობ კატეგორიული განცხადება ძალზე დაბალი კვალიფიკაციისა და სრულიად უპასუხისმგებლო თანამშრომლებზე. გავიფიქრე, მგონი ვეღირსეთ ნამდვილ საქმიან საუბარს-მეთქი, მაგრამ ავტორმა იქვე, მომდევნო აბზაცშივე, შემართული ხმალი ჩააგო და ყოვლად მოულოდნელ დიდაქტიზმს მოჰყვა: „ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვან რამდენიმე მაგალითს სხვადასხვა გაზეთიდან (გაზეთების დასახელებისგან ამჯერად თავს შევიკავებ)".

ასე არაფერი გამოვა, ბატონებო, არაფერი! საერთოდ და ზოგადად მსჯელობა, იცოცხლე, შეგვიძლია, მაგრამ რა აზრი აქვს, როცა ჩვენს ნააზრევს, ნაფიქრალს არავინ მიიღებს თავის თავზე. ღვთის გულისათვის, არ შემომედავოთ, ერთგვარი ტაქტი გამოვიჩინეთო და ასე შემდეგ... ტაქტის გამოჩენა, თუ ამაზე მიდგა საქმე, ყოველთვის შეიძლება და საჭიროც არის. ერთმანეთს ნუ გავლანძღავთ. მივუთითოთ მხოლოდ როგორც კოლეგას, თანამებრძოლს, თორემ ასეთი უმისამართო კრიტიკა წყლის ნაყვის მეტი არაფერია, როგორც ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა, „ამ სადა ჭეშმარიტებას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა".

პირველ მაგალითად ავტორს მოჰყავს ერთი ხუთსტრიქონიანი ციტატა და შენიშნავს, ამ ერთ წინადადებაში 3 შეცდომააო. გასაგებია ავტორის გაოცება, მაგრამ გულწრფელად უნდა განვაცხადო, რომ, როგორც ჩანს, ეს მხოლოდ მისი პიროვნული ბუნებიდან გამომდინარე გულუბრყვილობაა იმის ფონზე, რაც ჩვენს პრესაში ხდება. ძვირფასო მეგობრებო და კოლეგებო, ხუთსტრიქონიან წინადადება-აბზაცში 3 შეცდომა კი არა, ერთსტრიქონიან სქოლიოში 7 შეცდომა მინახავს; მეტიც, ერთსიტყვიან სქოლიოში, თქვენ წარმოიდგინეთ, ორი შეცდომა. მაგრამ სწორედ იმისათვის, რომ ასეთი კურიოზი აღარ განმეორდეს, კი არ უნდა მოვერიდოთ გაზეთის თუ ჟურნალის დასახელებას, არამედ, პირიქით, უნდა ვთქვათ, თუ მართლა კოლეგები და მეგობრები ვართ, თუ მართლა ერთ საქმეს ვემსახურებით, უნდა გავუზიაროთ ერთმანეთს ჩვენი ავკარგი და ამით საერთო საქმე მოიგებს.

ახლა, ცხადია, იმასაც მკითხავთ, მაინც სად ნახე ის ერთსიტყვიანი სქოლიო, ორი შეცდომა რომ იყოო? გადაშალეთ ჟურნალი „ხელოვნება" (№9-10, 1991) და ნახეთ ერთი სქოლიო კი არა, რა დღეშია საერთოდ ამ ნომერში გამოქვეყნებული სტატიების ეგრეთ წოდებული სამეცნიერო აპარატი და გასაგები გახდება ყველაფერი. ავტორებმა რომ მართლა ასეთი სახით წარმოადგინონ მასალები, რედაქციამ ხომ უნდა მოამზადოს ტექსტი დასაბეჭდად? აბა, რას ნიშნავს თავად ეს ფრანგული სიტყვა „რედაქცია" ან „რედაქტირება"? ურიგო არ იქნება ახლა მაინც ჩახედონ ჟურნალ „ხელოვნების" თანამშრომლებმა და ავტორებმაც „უცხო სიტყვათა ლექსიკონს".

კონსტრუქციულად წერილი ისეა აგებული, მეშინია ავტორმა არ იფიქროს ამით მომთავრდა ყველაფერიო და, რომ იტყვიან, ქუდი დაიხუროს. არა და არა, ბატონო ზურაბ, თქვენ ისეთი კარგი, საქმიანი სტატია გამოაქვეყნეთ, ახლა უკვე ვალდებულიც ხართ სისტემური ხასიათი მისცეთ ამ ხასიათის პუბლიკაციებს. და თუ აქ თქვენი მონამორჩილის მეგობრულ-კოლეგიურ შენიშვნებსაც გაითვალისწინებთ, კაი ნამეტანი, როგორც გურიაში იტყვიან.

კიდევ ერთი რამ მინდა გითხრათ, ბატონო ჩემო: უკეთესი იქნებოდა კორექტურულ შეცდომებზე კი არა, უფრო იმ სარეველაზე გაგემახვილებინათ ყურადღება, ასე რომ ედება ჩვენს ენას და ლამის ამოხუთოს. თუნდაც კალკები ვთქვათ. აი, ერთი ნიმუში, თქვენივე მაგალითებიდან: „მეოცე გაზაფხულს მის გარეშე ვეგებებით თვალჭრემლიანი". ცხადია, სამართლიანად შენიშნავთ, რომ უნდა იყოს „თვალცრემლიანი". მაგრამ ღირდა კი ამ, ვიმეორებ, აშკარა კორექტურული შეცდომისათვის ასეთი პათეტიკური შეძახილი: „კორექტორებო, განსვენებულის ხსოვნას მაინც ეცით პატივი!" ცხადია, არ ღირდა. კორექტურებისაგან, ყველამ ვიცით, არავინ ვართ დაზღვეული. „თვალჭრემლიანის" მაგიერ რომ „თვალცრემლიანი" უნდა იყოს, ამას პირველკლასელიც მიხვდება და გახარებული დედას მიურბენინებს, ნახე, რა შეცდომა ვიპოვეო. მაგრამ აქვე უფრო მთავარი, აშკარა კალკი — ვერ შეამჩნიეთ: „მის გარეშე" ხომ ნორმალური ქართულით „უმისოდ" იქნება. ასე არ არის? „სიყვარულის გარეშე" თუ „უსიყვარულოდ"? ცხადია, „უსიყვარულოდ", ურომლისოდაც, როგორც დიდი გალაკტიონი ბრძანებდა, არაფერი არსებობს ამ ქვეყანაზე.

და კიდევ ერთი კალკი, ამჯერად თქვენსავე კომენტარში. სამართლიანად იწუნებთ, რომ არ ვარგა: „კარგად მოქმედებს წონის დაკლებაზე", მაგრამ ამას მოჰყვება თქვენი კომენტარი: „ესე იგი ეს ვარჯიში ხელს უწყობს ადამიანს წონის დაკლებაში, მისთვის სასურველი შედეგის მიღწევაში". ნამდვილად გამიკვირდა თქვენგან, ვინც მთელ წერილში ამგვარს კომპეტენტურობას ამჟღავნებთ. დამეთანხმებით: ...„ხელს უწყობს ადამიანს წონის დაკლებაში" ვერაფერიშვილი გამოთქმაა, ისევე როგორც „შედეგის მიღწევაში". ჩემგან რა გესწავლებათ, რომ ქართულად ეს ძალიან უბრალოდ ითქმის — „ხელს უწყობს ადამიანის წონის დაკლებას" ან სულაც „გახდომას" და ასე შემდეგ.

მართალი გითხრათ, ვერც სტატიის სათაურს მოგიწონებთ. თავისთავად ამ სათაურს დასაწუნი არაფერი ჭირს, მაგრამ ამ სტატიას არ შეეფერება, რადგან არსებითად მშობლიური ენის საერთოდ დაკარგვის საშიშროებაზეა საუბარი და არა მხოლოდ მისი „სილამაზისა და დახვეწილობის დაკარგვაზე".

დაბოლოს, ერთხელ კიდევ მინდა გამოვთქვა სურვილი, რომ ამ ერთი პუბლიკაციით ეს მნიშვნელოვანი საქმე არ უნდა დამთავრდეს, ავტორის და ჩვენი მახვილი ამ მხრივ ქარქაშში არ ჩაიგოს. სწორედ რომ უქარქაშო ხმლებია საჭირო ამ ბრძოლაშიც.

გიორგი დოლიძე,
პროფესორი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ტატუაილერის განცხადება

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა შეშფოთება გამოთქვა თბილისში 24 ივნისს მომხდარი ამბების გამო, როცა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის გამსახურდიას მომხრე შეიარაღებულმა პირებმა ხელთ იგდეს სატელევიზიო ანძა და სახელმწიფო ტელერადიოდეპარტამენტის შენობა. „ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგვაშფოთა ამ ძალმომრეობამ, — განაცხადა ოთხშაბათს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარგარეტ ტატუაილერმა. — ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს შევარდნაძესა და საქართველოს სახელმწიფო საბჭოს, რომლებიც ცდილობენ დაამყარონ დემოკრატია და შექმნან თავისუფალი ბაზარი საქართველოში. ამერიკის შეერთებული შტატები გმობს ადამიანთა ამ ჯგუფების მიერ გამოყენებულ ძალმომრეობას".

იმედი არ უნდა ჰქონდეთ

იაპონიას არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ ეგრეთ წოდებული „ჩრდილოეთის ტერიტორიათა" პრობლემის გადაწყვეტაში ბორის ელცინის ტოკიოში ვიზიტის დროს რაიმე პროგრესი იქნება მიღწეული. ასეთი აზრი გამოთქვა გაზეთმა „სანკეი სიმბუნმა". შეგახსენებთ, რომ რუსეთის პრეზიდენტის იაპონიაში ვიზიტი სექტემბრისათვის არის დაგეგმილი.

დახმარება სურს

ყოფილი საბჭოთა კავშირისათვის დახმარების გაწევას ანუ რუსეთში მიმდინარე რეფორმების მხარდაჭერის 24-მილიარდიან პროგრამას, უეჭველია განიხილავენ მიუნხენში „შვიდეულის" ქვეყნების ხელმძღვანელთა შეხვედრაზე, — განაცხადა თეთრი სახლის პრესმდივნის მოადგილემ საგარეო-პოლიტიკურ საკითხებში უოლტერ კონსტეინერმა. მისი თქმით ვაშინგტონს სურს დაეხმაროს რუსეთს, რომ ამ უკანასკნელმა სწრაფად გადაჭრას ეკონომიკური პრობლემები.

ფულის რეფორმა ესტონეთში

ესტონეთში ფულის რეფორმა ხორციელდება. სამი დღის განმავლობაში ბრუნვიდან ამოღებულია 700 მილიონი მანეთი. ესტონეთის ბანკის ვიცე-პრეზიდენტის ვაზურ კრაფტის თქმით ეს ფული რუსეთს გადაეცემა. მისი განმარტებით ფულის რეფორმის დასრულების შემდეგ ესტონეთ-რუსეთის ვაჭრობა კლირინგულ ფორმაზე გადავა, ხოლო ვალუტის კურსი გერმანული მარკებით განისაზღვრება.



— როგორც დემოკრატი დემოკრატს გთხოვთ..

გაზეთი „იზვესტია".

შევაჩეროთ მეცნიერული ინტელექტის განდინება

სამედიცინო მეცნიერების განვითარების მნიშვნელობას განმარტება არ სჭირდება; ისიც ცნობილია, რომ ქვეყნის ფასდაუდებელი განძი ინტელექტია და მისი მოქმედების მასშტაბის გაზრდისათვის სტიმულირებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ჯერ კიდევ 1948 წელს ამ მიზნით მეცნიერ-მუშაკებს მაღალი ხელფასები დაენიშნათ. ყოველივე ამან ბევრ რესპუბლიკაში და, მათ შორის, საქართველოშიც განაპირობა მკვლევართა რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდა: ჩამოყალიბდა მეცნიერების სხვადასხვა დარგები, შეიქმნა ახალი მიმართულებები, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები.

1988 წელს ეკონომიკური პირობები გაუუმჯობესდათ აკადემიის სისტემაში მომუშავე მეცნიერ თანამშრომლებს და უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებს. მაგრამ სხვა უწყებებს დაქვემდებარებულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში მომუშავე პირებს, მათ ხელფასები არ მოუმატებიათ. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში პრაქტიკოსი ექიმი გაცილებით მეტ ხელფასს იღებს, ვიდრე მეცნიერი თანამშრომელი. ხელფასთა ასეთმა შეუსაბამობამ გამოიწვია მეცნიერ მუშაკთა მასობრივად გადასვლა პრაქტიკულ სამუშაოზე. ფასდაუდებელი განძი — ინტელექტი ასე თანდათან განითესება სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიებიდან და ამ პროცესის შეჩერების ტენდენცია ჯერჯერობით არ შეიმჩნევა. რა თქმა უნდა, უპირველესად ისინი წავლენ, ვისთვისაც მეცნიერული მუშაობა სულიერი მოთხოვნილება არ არის. მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ჭეშმარიტი მეცნიერიც იძულებული ხდება ამ ძნელბედობის ჟამს წავიდეს იქ, სადაც უკეთესი ეკონომიკური პირობებია...

ინტელექტუალური კადრების განთესვა უსათუოდ შეაჩერებს მეცნიერების პროგრესს და თუ ეს პროცესი დროულად არ შეჩერდა, მაშინ შეიქმნება ვაკუუმი, რომლის შევსებისათვის ძალზე დიდი დრო დაგვჭირდება.

საქართველოს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრს — ერთადერთ სპეციალიზებულ დაწესებულებას, რომელშიც მიმდინარეობს როგორც მეცნიერული, ასევე სამკურნალო და პედაგოგიური საქმიანობა, უკვე დაეტყო ზემოხსენებული პროცესის ნეგატიური გავლენა — ძნელდება გამოთავისუფლებული ადგილების მეცნიერ-მუშაკებით დაკომპლექტება, ახალგაზრდების ასპირანტურაში მოზიდვა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული გვაძლევს უფლებას მივმართოთ რესპუბლიკის ჯანდაცვის სისტემის მესვეურებს და მინისტრთა კაბინეტს, რათა მსგავსად სხვა რესპუბლიკებისა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-მუშაკების ხელფასები გაუთანაბრდეს სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლების ხელფასებს.

რ. ვეფხვაძე,
ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი;
გ. ბერსამია,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი;
ლ. ჩარკვიანი,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი;
რ. გაგუა,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

ხსოვნა გულისა

მის სიმღერებს ქუჩაში მღეროდნენ



ხუთი წელი გავიდა სანდრო მირიანაშვილის გარდაცვალებიდან, რომლის ჭეშმარიტად ხალხურმა შემოქმედებამ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ქართულ ხელოვნებაში.

სანდრო მირიანაშვილი დაიბადა სიღნაღში. უმაღლესი მუსიკალური განათლება მიიღო მოსკოვის და ლენინგრადის კონსერვატორიებში. ლენინგრადში სწავლის დროს მას მოუსწრო მეორე მსოფლიო ომმა. იქვე შევიდა ლენინგრადის დამცველთა რიგებში და ბლოკადის მთელი პერიოდი იქ გაატარა. იგი სამხედრო ნაწილებში ხშირად მართავდა საშეფო კონცერტებს, სადაც ჟღერდა მისი შესანიშნავი მუსიკა. იმ პერიოდში კომპოზიტორმა შექმნა რამდენიმე საინტერესო ნაწარმოები, მათ შორის „ლენინგრადის ვალსი", რომელიც თავისი ქართული ელერადობით გამოირჩეოდა და შემდგომში არაერთ საღამოსა თუ სალონს ამშვენებდა.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე სანდრო მირიანაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა რესპუბლიკის მუსიკალურ ცხოვრებაში. მან თავისი ხელწერა შემოიტანა სასიმღერო ხელოვნებაში და ითვლება ვოკალური საანსამბლო ფორმის (დუეტი, ტრიო, კვარტეტი) ერთ-ერთ პირველ ფუძემდებლად. მისი უშუალო ხელმძღვანელობით იქმნება შესანიშნავი საესტრადო ვოკალური ანსამბლები. ხელმძღვანელობს სხვადასხვა მხატვრულ თვითმოქმედ კოლექტივებს.

განსაკუთრებულია მისი წვლილი მოყვარული თუ პროფესიონალი მომღერლების აღმოჩენა-გამომზეურების საკითხში. რამდენ მომღერალს და ვოკალურ ჯგუფს გაუკაფა გზა და დააკვალიანა ბატონმა სანდრომ დიდ სცენაზე, რამდენ ახალგაზრდას გაუღვივა ინტერესი სიმღერისადმი.

სანდრო მირიანაშვილის საკომპოზიტორო ნიჭიერება აისახა სასიმღერო ჟანრში. იგი ავტორია 800-ზე მეტი სიმღერისა და რომანსისა. სწორედ მათ მოუტანეს პოპულარობა და ხალხის სიყვარული. მისი სიმღერები და რომანსები ქართული მიწის სურნელითაა გაჟღენთილი. ამიტომაც უთხრა ერთხელ გოგლა ლეონიძემ — შენ ჭური გიდევს ქართულ მიწაზე და იქიდან იკრებ ასეთ შესანიშნავ ჰანგებსო. მართლაც, მისი მუსიკა განსხვავებული ხელწერისაა, მელოდია ტკბილი, ხალასი და ყველასათვის იოლად გასაგები. ამაშია სანდრო მირიანაშვილის სიმღერების მომაჯადოებელი ძალა.

სიმღერები მას შექმნილი აქვს ილიას და აკაკის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ლადო ასათიანის, იოსებ ნონეშვილის, მორის ფოცხიშვილის და სხვათა ლექსებზე. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ცაფირუზი", „მერი", „დავდივარ ღამე ბნელადა", „საყვარელ ქუჩაზე", „ვით ნიავის ნაზი ფრთები", „დიელო", „ნაკადული", „გიყვარვარ თუ არ გიყვარვარ", „გაფრენა და გამარჯვება", „ოდეს გამშორდი" და სხვა.

სანდრო მირიანაშვილმა სასიმღერო ჟანრში პირველმა შემოიტანა ფორტეპიანოსთან ერთად ქართული ხალხური საკრავები (დოლი, დიპლიპიტო, სალამური). მაგალითად, სიმღერაში „დილაა თუ ბინდი", რომელსაც შესანიშნავად ასრულებდნენ გია ჭილიძე და გიორგი მოწერელია, მან ფორტეპიანოსთან ერთად სალამურიც ააჟღერა.

სანდრო მირიანაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის იმდროინდელი ცნობილი საესტრადო ანსამბლებისა და ჯგუფების, კერძოდ — უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური და უცხო ენათა ინსტიტუტების, თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს თვითშემოქმედი კოლექტივების წარმატებებში, მათი რეპერტუარის შერჩევა-დახვეწაში. იგი ხშირი სტუმარი იყო თავისი მშობლიური სიღნაღის რაიონისა, სადაც თითქმის ყველა მუსიკალურ ღონისძიებაში იღებდა მონაწილეობას. მის სიმღერებს ასრულებდნენ მერი შილდელი, ლილი გაგელია, ეთერ კაცობაშვილი, ტატიანა მახარაძე, ემა აფხაზავა, ედიშერ მირიანაშვილი, ჰამლეტ გონაშვილი, ეთერ გვაზავა, ცეცინო ცეცქიშვილი, ნათელა მკერვალიძე, მარინე ჯაჭუტაშვილი, დები ჩაფიჩაძეები, ჯილდა დათუაშვილი, ვარვარა ჩხვაშვილი და სხვები.

სანდრო მირიანაშვილის გაკვეთილები და რჩევა-დარიგებები არა ერთი მომღერლის წარმატების საფუძველი გახდარა. მახსოვს, როგორი დაჟინებით სთხოვდა ჰამლეტ გონაშვილს, რომელსაც კლასიკური სიმღერის გაყოლის სურვილი ჰქონდა, დარჩენილიყო ხალხური სიმღერების შემსრულებლად. ჰამლეტს მისთვის რომ არ დაეჯერებინა, ქართული ხალხური ხელოვნება უნიკალურ მომღერალს დაკარგავდა. რამდენი ასეთი მაგალითის დასახელება შეიძლება.

გარდა სასიმღერო შემოქმედებისა, სანდრო მირიანაშვილს ეკუთვნის საბავშვო ოპერა — „რუხი მგელი", ოპერა „შუშანიკი", სხვადასხვა ვოკალური ციკლები. გამოცემული აქვს დაწყებითი მუსიკალური სკოლებისათვის კრებული „50 ჩუქურთმა".

რესპუბლიკის სახალხო არტისტი სანდრო მირიანაშვილი მუდამ ხალხში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში ტრიალებდა, რადგან მათში ხედავდა საქართველოს მომავალს. როგორც მისი შემოქმედება, ისე მისი პიროვნება პატრიოტული სულით იყო დამუხტული, ერთთავად ერის სამსახურში იდგა. 1956 წელს თბილისში მომხდარი ცნობილი მოვლენების დროს იგი ბოლომდე მხარში ედგა სტუდენტ-ახალგაზრდობას, რისთვისაც რამდენიმე თვე საპატიმროშიც კი ჩასვეს.

სანდროს მონაწილეობა ნებისმიერ ღონისძიებაში, ეს იყო იუბილე თუ საშეფო კონცერტი, მსმენელთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა, მათი სიყვარულით სარგებლობდა. მისი სიმღერის მელოდია გამოირჩევა მღერადობით, უშუალობით და მარტივი ფაქტურით. ამიტომაა იგი მართლაც სახალხო კომპოზიტორი. უბრალოებით გამორჩეული, მომღერლებს თვითონ ამზადებდა და თვითონვე უკრავდა აკომპანიმენტს, რაც ასე იშვიათია ჩვენს პრაქტიკაში. იგი არასოდეს თაკილობდა პატარა ბავშვებთან ერთად სცენაზე გამოსვლას. არ ილტვოდა დიდი ჰონორარებისა და ანაზღაურებისაკენ, ფაქტობრივად, უსასყიდლოდ ემსახურებოდა ქართველ მსმენელს, ამიტომაც მას მატერიალურად მუდამ უჭირდა.

აღსანიშნავია სანდრო მირიანაშვილის საქველმოქმედო საქმიანობა. მან რამდენიმე ძველებური ხატი უსასყიდლოდ გადასცა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას. თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა, ნახატები, ქართული ყოფის ძველებური უნიკალური ნივთები და საკრავები კი სიღნაღის რაიონს.

იგი რამდენადაც განსაკუთრებული პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობდა ხალხში, იმდენად სათანადოდ არ იყო დაფასებული. საერთოდ არ გამოცემულა მისი პოპულარული, მართლაც, ეროვნული სულით გაჟღენთილი სიმღერებისა და რომანსების კრებული. მიუხედავად მთავრობის დადგენილებისა, საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დღემდე მოუწყობელია მისი საფლავი.

დროა ყურადღება მიექცეს დაუმსახურებლად დავიწყებული კომპოზიტორის სანდრო მირიანაშვილის პიროვნებას. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა ხელი მოჰკიდოს მისი რომანსებისა და სიმღერების კრებულის გამოცემას, გრამფირფიტების სტუდიამ შეკრიბოს და გამოუშვას მისი ფირფიტა. ეს შეიძლება იოლად მოხდეს, რამდენადაც ჩაწერილი ფირების ნაწილი ინახება რადიო-ტელევიზიის ფონდში, ნაწილი კი მომღერალ შემსრულებლებთან. მისაბაძ მაგალითად ჩაითვლება სახელმწიფო ფილარმონიას, თუ იგი კომპოზიტორის გახსენების საღამოს მოაწყობს.

სანდრო მირიანაშვილი ის კომპოზიტორია, რომლის შემოქმედების ნიმუშები დღევანდელობას ეხმიანება; ისევ და ისევ ჩვენს გაციებულ გულებს სჭირდება. მისი ქართული ეროვნული სითბოთი გაჟღენთილი სიმღერები და რომანსები, ჩვენი შვილების, მომავალი თაობის სწორი მიმართულებით აღზრდას, მათ პიროვნული თვისებების გამდიდრებას გამოადგება.

ამდენი დაძაბულობისა და მწუხარების შემდეგ, ვფიქრობ, დადგა დრო მივხედოთ ჩვენს სულიერ სამყაროს, მის საზრდოს — ჭეშმარიტ ხელოვნებას. ხელოვნება კი არ არსებობს ნიჭიერი პიროვნებების გარეშე. ასეთთა შორის მისაბაძ მაგალითად გვევლინება ქართველი ხალხისათვის საყვარელი კომპოზიტორი სანდრო მირიანაშვილი .

ბელა ქოქიაშვილი,
რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკი.

პანტომიმა—მეგობრობის ენა

1-6 ოქტომბერს ზაარბრიუკენში გაიმართება პანტომიმის საერთაშორისო ფესტივალი, რომლის დახურვის პატივი საქართველოს თეატრს ხვდება. იგი აქ წარმოადგენს სპექტაკლს „კრიმანჭულს". ამის შესახებ მიღწეული იყო შეთანხმება. ზაარის მხარეში, სადაც გერმანელი კოლეგების მიწვევით ამას წინათ იყვნენ საქართველოს პანტომიმის თეატრის ხელმძღვანელი ამირან შალიკაშვილი და მსახიობი კირა მებუკე.

გადაწყვეტილია აგრეთვე, რომ საფესტივალო კვირეულის ფარგლებში თბილისელი მიმები ერთ წარმოდგენას გამართავენ ლუქსემბურგში, ხოლო დათვალიერების დახურვის შემდეგ გაემგზავრებიან კელნში, სადაც ორ საღამოს წარმოადგენენ „კრიმანჭულს". საგულისხმოა, რომ ზაარბრიუკენის თეატრალური დღესასწაულის დასკვნითი აკორდი იქნება იმპროვიზებული „მეგობრობის სპექტაკლი" ცნობილი გერმანელი მიმის, ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორის მიხეილ კროიცერის, ამირან შალიკაშვილისა და კირა მებუკეს მონაწილეობით. თბილისელი მსახიობები მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე თეატრალიზებულ წარმოდგენებსა და მსვლელობებში საფესტივალო ქალაქსა და კელნში.

ხიდები

მალიქ იავუზი:

თქვენ დიდი პოტენციალი გაქვთ

თბილისში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა ქ. ართვინის (თურქეთი) ვიცე-მერი მალიქ იავუზი, საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს რესპუბლიკურ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსპეცტრანსში" იგი გაეცნო ართვინის სამგზავრო ბაგირგზების მშენებლობის პირველი რიგის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დოკუმენტაციას, რომელიც დამუშავებულია ართვინის მუნიციპალიტეტთან დადებული კონტრაქტის საფუძველზე.

ბატონმა მალიქ იავუზმა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ მთიანი რელიეფის მქონე ქალაქ ართვინისათვის ეკოლოგიურად სუფთა სამგზავრო ბაგირგზები მეტად საჭიროა. შარშან საქართველო-თურქეთის პირველი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული სიმპოზიუმის „ინტერბაგირგზის" და ართვინის მუნიციპალიტეტის (მეჯლისის) წევრებისათვის გამართული სპეციალური სემინარის მონაწილეები ინტერესით გაეცნენ საქართველოს მოწინავე გამოცდილებას ბაგირგზების კვლევის და პროექტებისა და დანერგვის დარგში. მათ ადგილზე დაათვალიერეს მოქმედი სამგზავრო, სატვირთო და სამგზავრო-სატვირთო ბაგირგზები ხულოში, მწვანე კონცხზე, ჭიათურაში, ბორჯომსა და თბილისში. განსაკუთრებით მოეწონა 1985 წელს აშენებული ხულოს რაიონის ცენტრისა და სოფელ თაგის დამაკავშირებელი 1721 მეტრი სიგრძის უსაყრდენო სამგზავრო-სატვირთო ბაგირგზა, რომელიც მართლაც უნიკალური და მომხიბლავია.

სიმპოზიუმისა და სემინარის პერიოდში თურქეთის დელეგაციის წევრებს საქმიანი შეხვედრები ჰქონდათ საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის, მეცნიერებისა და ტექნიკის, საგარეო საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელებთან, მთავრობის თავმჯდომარესთან ბატონ თენგიზ სიგუასთან.

ამ შეხვედრებით დიდად კმაყოფილნი დარჩნენ ანკარის, იზმირის, ანტალიის, დენიზლის, სამსუნის, ტრაპიზონის, ართვინის გუბერნატორები. განსაკუთრებით კი ართვინის მერი ბატონი ყადირ ხარვეში და მე, როგორც თქვენი უშუალო მეზობლები და მეგობრები.

ჩვენ ნათლად დავრწმუნდით, თუ რა დიდი სამეცნიერო ტექნიკური პოტენციალი გაქვთ და შეუნელებელი ყურადღება ექცევა საქართველოში საბაგირო ტრანსპორტის განვითარებას, რაოდენ სასარგებლოა ამ დარგში ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობა.

ეს აზრი აისახა ზემოაღნიშნული სიმპოზიუმისა და სემინარის გადაწყვეტილებებში, რომელსაც თურქეთის ახლანდელი მთავრობაც უჭერს მხარს, რაც ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ქ. ართვინის მუნიციპალიტეტმა თხოვნით მიმართა საქართველოს მთავრობას, რათა „საქსპეცტრანსმა" ქ. ართვინისა და მისი მიმდებარე სამთო კურორტ კაფკასორისათვის შეასრულოს სამგზავრო ბაგირგზების განვითარების სამუშაოთა კომპლექსი, რისთვისაც უნდა შევქმნათ საქართველო-თურქეთის ერთობლივი საწარმო „ინტერბაგირგზა".

„საქსპეცტრანსთან" გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე სპეციალისტების ჯგუფმა ბატონ შოთა ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით ქ. ართვინისათვის უკვე შეასრულა წინასაპროექტო მოსამზადებელი სამუშაოები. შერჩეულია ტრასები და ბაგირგზების განვითარების პერსპექტიული სქემა, რომელიც განიხილა და დაამტკიცა ართვინის მუნიციპალიტეტმა.

დამუშავებულია ქ. ართვინის სამგზავრო-საბაგირო ტრანსპორტის განვითარების სქემით გათვალისწინებული პირველი რიგის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება.

ახლახან საქართველოს მთავრობამ განიხილა და მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება ქ. ართვინში საბაგირო ტრანსპორტის განვითარების სამუშაოთა შესრულების უზრუნველმყოფი ღონისძიებების შესახებ. ართვინელების სახელით მინდა დიდი მადლობა მოვახსენო საქართველოს ხელისუფლებას ასეთი თანამშრომლობისათვის, თქვა მალიქ იავუზმა.

ეს ჩვენი საქართველოა!



თევზაობა. სიმონ კილაძის ფოტო (ფოტოსააგენტო „დრო").

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

ნოსტრადამუსი — ქართულად

საინფორმაციო-საგამომცემლო ფირმამ „სიგმა-100" ქართულ ენაზე გამოუშვა მე-16 საუკუნის ცნობილი ასტროლოგის მიშელ ნოსტრადამუსის ზოგიერთი ცენტურია გია ასათიანისა და გიგლა გობეჩიას კომენტარებითურთ. ამ პატარა მონოგრაფიის ავტორები ცდილობენ განიხილონ ზოგიერთი წინასწარმეტყველება გარდამტეხ ეტაპებზე საქართველოს ბედის თვალსაზრისით.

ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველებათა პირველი წიგნი 1555 წელს დაიბეჭდა ლიონში. მას შემდეგ საუკუნეთა მანძილზე ბევრი მკვლევარი ცდილობდა ამ ნაშრომის გაშიფვრას, და ყოველი მათგანი თავისი ქვეყნის პოზიციებიდან აფასებდა მას. პროვანსელი ასტროლოგისადმი ინტერესი კვლავ გაძლიერდა ბოლო წლებში, როცა დაიწყო თითქოსდა უძლეველი საბჭოთა იმპერიის დაშლა. პრესაში გამოჩნდა ლენინის, სტალინის, ჰიტლერის, სადამ ჰუსეინისა და სხვა ლიდერების სახელები. ზოგიერთი ცენტურია, თითქოს დოკუმენტური სიზუსტით აღწერს ყველასათვის ცნობილ მოვლენებს, რომლებიც ბუნებრივია, არ შეიძლებოდა სცოდნოდა შუა საუკუნეების წინასწარმეტყველს. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა წინასწარმეტყველებანი, რომლებიც, მკვლევართა აზრით, კავკასიის ამბებს ეხება.

„აისი" პროფილს იცვლის

ქუთაისი. პროფილი შეიცვალა ქარხანა „აისმა" — ქუთაისში მდებარე ეს წარმოება, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის თავდაცვის მრეწველობის შემადგენელი ნაწილი იყო, ამიერიდან ფართო მოხმარების საგნებს გამოუშვებს.

სერიული წარმოებისათვის უკვე მზად არის მცირე ტევადობის სატელეფონო სადგურები, მიკროსქემებზე დამზადებული მთელი რიგი სხვა პროდუქცია და მათ შორის მანქანის გატაცების საწინააღმდეგო მოწყობილობა.

მარჯანიშვილი უკვდავია!

ჩვენ ყველანი იმის მოწმენი ვართ, თუ როგორ შერიხნეს და შეაჩვენეს უახლოეს წარსულში გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალებმა ქართველთათვის საფიცარი სახელები. განსაკუთრებული „რისხვა" დაატყდა ახალი ქართული თეატრის ფუძემდებელს კოტე მარჯანიშვილს, როგორ ეცადნენ მისი ღვაწლის დაკნინებას, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, რაც დრო გადის უფრო დიდი ხდება მარჯანიშვილის სახელი. იგი ხომ ის გენიალური ხელოვანი იყო, რომელიც „მოვიდა ქართულ თეატრში თავისი მომწიფებული შემოქმედებით, მშობლიური თეატრისთვის მას თურმე შემოენახა მთელი ძალა სიყვარულისა, შთაგონებისა. მან აიყვანა თეატრი ისეთ სიმაღლეზე, სადაც ის, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი, არასოდეს ასულა". (ვერიკო ანჯაფარიძე)

დღეს ქრესტომათიულ ჭეშმარიტებად არის ქცეული მარჯანიშვილის ფრაზა: „ხელოვნების მიზანი სულ უბრალოა — მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას მხნეობა", ამ მიზნით ქმნიდა იგი სინთეზურ თეატრს, სადაც ერთმანეთს ორგანულად ერწყმოდა მსახიობის განცდა და სიტყვა, მისი პლასტიკა და ჟესტი, მუსიკა და სცენოგრაფია, მოძრაობა და სკულპტურულად გამოკვეთილი მიზანსცენები. მის სპექტაკლებს განსაზღვრავდა შინაგანი რიტმი, ზეაწეული ტონი, მგზნებარე ტემპერამენტი და სინამდვილის პოეტური წარმოსახვა.

მარჯანიშვილმა სულ 12 წელი იღვაწა საქართველოში და ამ ხნის მანძილზე ქართველ ხალხს არაერთი უდიდესი თეატრალური სიხარული განაცდევინა. მის წარმოდგენებზე ხალხი დადიოდა, როგორც დღესასწაულზე. მარჯანიშვილი თავისი შემოქმედებით ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რომ აემაღლებინა ქართული თეატრი ზოგადსაკაცობრიო დონემდე, მაგრამ იმგვარად, რომ იგი მოწყვეტილი კი არა, არამედ მჭიდროდ ყოფილიყო დაკავშირებული მშობლიურ ნიადაგთან, თანამედროვეობასთან, არ დაეკარგა თავისი მკაფიოდ გამოხატული ეროვნული სახე. ეროვნულობის პრობლემა ყოველთვის აქტუალური იყო მარჯანიშვილისთვის, თეატრალური ხელოვნება მისთვის პირველ ყოვლისა იყო მკაფიო ეროვნული ფორმის, ეროვნული გამოხატულების საფუძველი. სამშობლოში დაბრუნებისთანავე მან პირდაპირ დასვა ქართული თეატრის ეროვნული სპეციფიკის საკითხი. „ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისთვის, რომ გამოვიმუშაოთ აქტიორული შემოქმედების საკუთარი ეროვნული ფორმა", — წერს იგი 1924 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ქართული თეატრის საკითხები".

ეროვნული თავისთავადობა გამოსჭვიოდა მისი ყოველი ქმნილებიდან, სადაც უნდა დაედგა და რომელი ქვეყნის დრამატურგიაც უნდა ყოფილიყო, ეროვნული ტრადიციების ერთგულების შედეგია მისი მისწრაფება, მისი ლტოლვა დღესასწაულებრივი, ზეიმური, სიხარულის მომგვრელი თეატრისადმი;

თუმცა დღეს ძალიან უჭირს საქართველოს, მაგრამ მაინც დიდი სიყვარულით აღნიშნავს სახელოვანი რეჟისორის იუბილეს. თუნდაც ეს მოწმობს, რომ უთეატროდ ვერ იცხოვრებს ქართველი ერი.

ამ ორიოდე დღის წინ თეატრში, რომელიც მისი სახელოვანი დამაარსებლის უკანასკნელი თეატრალური სიყვარულია, გაიმართა კოტე მარჯანიშვილის 120-ე წლის საიუბილეო საღამო, რომელიც გახსნა სოფიკო ჭიაურელმა. სიტყვებით გამოვიდნენ ბატონი ვახტანგ ტაბლიაშვილი, ქალბატონები ეთერ გუგუშვილი და ნადია შალუტაშვილი.

მარჯანიშვილის იუბილე ყვარელშიც აღინიშნა. ქართული თეატრის ცნობილმა წარმომადგენლებმა: მედეა ჯაფარიძემ, დოდო ჭიჭინაძემ, ნინიკო ჩხეიძემ, ოთარ მეღვინეთუხუცესმა, გოგი გეგეჭკორმა, ვახტანგ ტაბლიაშვილმა, ეთერ გუგუშვილმა და სხვებმა თავიანთი გამოსვლებით პატივი მიაგეს სწორუპოვარი რეჟისორის ხსოვნას.

გიორგი ლალიაშვილი.

ჩოგანი

სალაღობო სტრიქონები

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდების წევრებს

ვაშა, მამულის მადიდნო შვილნო,
ქალღმერთ კაისას ნათლით მოსილნო!
დაე, ყოველთვის ასე გებრწყინოთ,
ოქრო გეფინოთ, დაფნა გეფინოთ!
ვერ გადღეგრძელებთ (გთხოვთ, არ მიწყინოთ!),
რადგან ძალიან ძვირი ღირს... ღვინო!

ზაურ ბოლქვაძე.

● ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი (უმაღლესი ლიგა)

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„იბერია"	38	27	6	5	115—41	87
„ცხუმი"	38	24	4	10	96—53	76
„გორდა"	38	22	9	7	71—38	75
„გურია"	38	22	3	13	89—56	69
„კოლხეთი-1913"	38	15	11	12	49—45	56
„ოდიში"	38	16	6	16	56—56	54
„მშიური"	38	16	5	17	53—65	53
„მარგვეთი"	38	14	11	13	69—58	53
„ბათუმი"	38	15	6	17	55—58	51
„დილა"	38	14	8	16	64—64	50
„ქუთაისი"	38	15	4	19	66—60	49
„სამგურალი"	38	14	6	18	41—55	48
„კოლხეთი"	38	13	9	16	57—66	48
„მრეტები"	38	13	9	16	48—51	48
„სამტრედია"	38	13	9	16	55—62	48
„შევარდენი-1906"	38	14	5	19	56—72	47
„ამირანი"	38	13	8	17	48—56	47
„ალაზანი"	38	13	8	17	45—70	47
„სულორი"	38	13	7	18	53—82	46
„მერცხალი"	38	4	6	28	29—98	18

საქართველოს საინჟინრო აკადემიისაგან

საქართველოს საინჟინრო აკადემია აცხადებს აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) და წევრ-კორესპონდენტების არჩევნებს შემდეგ სპეციალობებზე:

	სპეციალობა	ვაკანსიების რიცხვი	
		ნამდვილი წევრები (აკადემიკოსები)	წევრ-კორესპონდენტები
1	გარემოს დაცვა, ეკოლოგია	—	2
2	გეოლოგია, სამთო საქმე	1	7
3	ენერგეტიკა	2	2
4	ინფორმაციული სისტემები, გამოთვლითი და ელექტრონული ტექნიკა, კავშირგაბმულობის და ტელეკომუნიკაციური სისტემები, მეტროლოგია და ხელსაწყოთმშენებლობა, მართვის პროცესები	3	6
5	მანქანათმშენებლობა და მექანიკა	2	6
6	მეტალურგია	—	4
7	მსუბუქი და კვების მრეწველობა	—	7
8	მშენებლობა	—	7
9	საინჟინრო ეკონომიკა, ეკონომიკა და ფინანსები, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობანი	1	1
10	სატრანსპორტო სისტემები	—	4
11	ქიმიური ტექნოლოგია	1	2

საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) შეიძლება არჩეულ იქნეს ტექნიკური და საინჟინრო-ეკონომიკური პროფილის გამოჩენილი სპეციალისტი, რომელმაც აღიარებული წვლილი შეიტანა ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიის და საინჟინრო ეკონომიკის განვითარებაში. აკადემიის წევრ-კორესპონდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს ტექნიკური და საინჟინრო-ეკონომიკური დარგის სპეციალისტი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ტექნიკის, ტექნოლოგიის და საინჟინრო ეკონომიკის განვითარებაში.

საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრებად (აკადემიკოსებად) და წევრ-კორესპონდენტებად დასახელებულ კანდიდატებს რეკომენდაციას უწევენ სამინისტროები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ინსტიტუტები, უმაღლესი სასწავლებლები და საწარმოები.

კანდიდატები აკადემიაში ადგენენ შემდეგ დოკუმენტებს: 1. განცხადება — 1 ეგზ.; 2. აკადემიკოსის ან ორგანიზაციის წარდგინება — 2 ეგზ.; 3. კადრების აღრიცხვის ფურცელი — 2 ეგზ.; 4. ცნობა სამეცნიერო და საინჟინრო მოღვაწეობის შესახებ — 2 ეგზ.; 5. ავტობიოგრაფია — 2 ეგზ.; 6. დიპლომების და ატესტატების ასლები (უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების, სამეცნიერო ხარისხების და წოდებების მინიჭების) — 2 ეგზ.; 7. სამეცნიერო შრომების და მნიშვნელოვან საინჟინრო ნამუშევართა სია, დამოწმებული ოფიციალური ორგანიზაციის მიერ — 2 ეგზ.; 8. სამეცნიერო შრომების დედნები ან ასლები არა უმეტეს 5 პუბლიკაციისა — 2 ეგზ. 9. ფოტოსურათი 4X6 — 2 ეგზ.

მასალები წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი თვის ვადაში გამოქვეყნების დღიდან.

მისამართი: 380019 ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი, 130. ტ. 34-28-44, 34-06-74.

საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდიუმი.

რეკლამა • განცხადება

სასწავლო-სამეცნიერო მცირე საწარმო „ბუღალტერ-ექსპერტი"

აგრძელებს ბუღალტრული აღრიცხვის და საგადასახადო კანონმდებლობის შემსწავლელი მორიგი ჯგუფის დაკომპლექტებას.

დაინტერესებული მსმენელები სწავლების დამთავრების შემდეგ დამოუკიდებლად შესძლებენ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებას კოოპერატივებში, მცირე საწარმოებში და ფირმებში.

მეცადინეობებს ჩაატარებენ რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის და ქ. თბილისის საფინანსო სამმართველოს კვალიფიციური სპეციალისტები.

სწავლების ხანგრძლივობა 35 დღე. ყველა კურსდამთავრებული მიიღებს შესაბამის მოწმობას.

მსურველები უნდა გამოცხადდნენ პეტრიაშვილის ქ. 7-ში, ქართული გიმნაზიის შენობაში, 17-დან 20 საათამდე.

სწავლა დაიწყება 29 ივნისს, ტელ. 22-20-11 22-11-06.

სწავლის მსურველთა საყურადღებოდ!

თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო კოლეჯი განაგრძობს მოსწავლეთა მიღებას 1992-1993 სასწავლო წლისათვის შემდეგ პროფილებზე: ჰუმანიტარული, ეკონომიკური, ქიმია-ბიოლოგიური, ფიზიკა-მათემატიკური, ტექნიკური.

სასწავლებელში მიიღებიან მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე კლასების მოსწავლეები და სკოლადამთავრებული ახალგაზრდები, რომლებიც არჩეული პროფილის მიხედვით გააგრძელებენ სწავლას. მეცხრე და მეათე კლასებში სწავლა იწარმოებს ძირითადად მაპროფილებელ საგნებში, სხვა დანარჩენი საგნების შემცირებული საათობრივი დატვირთვით. მეთერთმეტეკლასელები და სკოლადამთავრებულები ისწავლიან მხოლოდ იმ საგნებს რომელთა ჩაბარება მათ მოუხდებათ შესაბამის უმაღლეს სასწავლებელში.

სასწავლებელი დაკომპლექტებულია სახელმწიფო უნივერსიტეტის, ტექნიკური უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში მომუშავე მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით.

კოლეჯში საბუთების მიღება — ყოველდღე 11 ივლისამდე (14 საათიდან 17 საათამდე, კვირის გარდა). გასაუბრება ჩატარდება 13 და 14 ივლისს, ჩარიცხვა მოხდება 15 ივლისს. სწავლა დაიწყება 1 ოქტომბრიდან.

კოლეჯში სწავლა ფასიანია. რაიონიდან ჩამოსულ მოსწავლეებს კოლეჯი ბინით ვერ უზრუნველყოფს. დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ დირექციას მისამართზე: ქ. თბილისი, წურწუმიას ქ. № 16, 88-ე სკოლის შენობა, ტელეფონი: 74-29-55 (მეტრო „ავლაბარი").

ყურადღება: სიახლეა!
მობრძანდით, შევისყიდით

ფირმა „ფირუზი" სოლიდურ ფასად შეისყიდის ადამიანის ნატურალურ თმას.

ანაზღაურება პრემიალურია. გათამაშდება ლატარია.

შესაძლებელია გაცვლა კოსმეტიკურ და საღებავ საშუალებებზე.

ფირმა თანამშრომლობისათვის იწვევს დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და პირებს.

ფირმა მუშაობს შაბათ-კვირას. მისამართი: თბილისი, ცენტრალური ვაგზლის II სართული, თმის მიმღები პუნქტი.

ტელეფონი: თბილისში — 67-42-55
რუსთავში — 14-02-67 საღამოს საათებში.

სარედაქციო კოლეგია.

მისამართი: 380096, თბილისი, გ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების განყოფილება 99-73-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

იბეჭდება [illegible] საგამომცემლო კომბინატში. [illegible] ქ. № 28.

XI

ინდექსი 64424